აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№91 (25.115) 22 - 28 სექტემბერი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 25-30, შიდამთიან რაიონებში - 23-28 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 25 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 764 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

29 სექტემბერს ბათუმი ტურიზმის ოსკარის სახელით ცნობილ დაჯილდოების ცერემონიას უმასპინძლებს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმში ტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტული „World Travel Awards“-ის დაჯილდოების ცერემონია გაიმართება. იგი მსოფლიოში ტურიზმის ოსკარის სახელითაა ცნობილი. ცერემონიაზე, 29 სექტემბერს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ტურიზმის ინდუსტრიის წამყვანი კომპანიების, სასტუმროების, ტურსააგენტოების, ბიზნეს და სახელმწიფო ორგანიზაციების, ასევე, საერთაშორისო მედიის წარმომადგენლები ეწვევიან ბათუმს

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ცნობით, 2023 წლის განმავლობაში ბათუმის, როგორც WORLD TRAVEL AWARDS-ის მასპინძელი ქალაქის პოზიციონირება, ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ყველა მარკეტინგულ კამპანიაში განხორციელდება.

„მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების ცერემონიის ბათუმში ჩატარება სერიოზული განაცხადია, რომ ვართ სანდო, საინტერესო და მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულების რეგიონი მსოფლიო ტურისტულ რუკაზე. რა თქმა უნდა, ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, გავაცნოთ მილიონზე მეტ ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართულ პირს და 190-ზე მეტ ქვეყანას ჩვენი საინვესტიციო-ტურისტული შესაძლებლობები. ამავდროულად, ეს არის ტურიზმის ღირსეული და საამაყო რესტარტი პანდემიის დასრულების შემდეგ,“ - აცხადებს აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსი თინათინ ზოიძე.

„World Travel Awards“-ის ღონისძიება 1993 წლიდან ტარდება. მასზე ასობით ნომინაცია და ათასობით ნომინანტი კონტინენტებისა და ქვეყნების მიხედვით სხვადასხვა კატეგორიაშია გადანაწილებული. მათ შორისაა წამყვანი სასტუმროები, ტურისტული სააგენტოები, ტურისტული ატრაქციები, მიმართულებები, ტუროპერატორები, ასევე, საზღვაო, საგზაო, საჰაერო ტრანსპორტის კომპანიები.

2019-2020 წელს ბათუმმა World Travel Awards-ის პრესტიჟული ჯილდო, როგორც ევროპის სწრაფად მზარდმა ტურისტულმა მიმართულებამ, მოიპოვა. 2023 წელს კი ტურიზმის მთავარი მოთამაშეები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან უკვე ბათუმში, WORLD TRAVEL AWARDS-ის ევროპის გალა ცერემონიაზე მოიყრიან თავს, სადაც ევროპის წამყვანი ტურისტული მიმართულებები, ქალაქები და კომპანიები გამოვლინდება.

პრემიერი აშშ-ში შეხვედრებს მართავს

გაეროს გენერალური ასამბლეის 78-ე სესიის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნიუ-იორკში შეხვედრებს მართავს. პრემიერი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველ ჯეიკ სალივანს შეხვდა. მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობების საკითხების ფართო სპექტრი მიმოიხილეს და სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცების მიმართულებით გადასადგმელ ნაბიჯებზე იმსჯელეს. საუბარი შეეხო რეგიონული უსაფრთხოების საკითხებს. ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა გლობალური გამოწვევების ფონზე ერთიანი ძალისხმევის მნიშვნელობას. პრემიერმა ჯეიკ სალივანთან საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი განიხილა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყნის ევროინტეგრაცია საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია და მმართველი გუნდი ყველაფერს აკეთებს დასახული მიზნის მისაღწევად. ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ელჩის დროულად ჩამოსვლის მნიშვნელობას და დასძინა, რომ მიესალმება ახალ ელჩად რობინ დანიგანის დანიშვნას, რომელთანაც საქართველოს მთავრობა ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებისა და გაძლიერების მიზნით აქტიურ და მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პრემიერთან ერთად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილიც იმყოფება. მან ორხმრივი შეხვედრა შეაფასა და აღნიშნა, რომ: „საკითხი, რომელიც განიხილეს ორმხრივ ფორმატში, შეეხებოდა თანამშრომლობას, პარტნიორობას და იმ სტრატეგიულ ურთიერთობებს, რომლებიც ჩვენ გვაკავშირებს ბოლო 30 წლის განმავლობაში“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ასევე შეხვდა ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ პეტრ პაველს და ესტონეთის პრეზიდენტ ალარ კარისს.

მთავრობის თავმჯდომარე იესპერ მოლერს შეხვდა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიფუვაძე გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) საქართველოს ოფისის ახალ ხელმძღვანელ იესპერ მოლერს შეხვდა

საქართველოში „იუნისეფის“ წარმომადგენელთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე აჭარის მთავრობის მეთაურმა იესპერ მოლერს ახალ პოზიციაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა. აჭარის მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა გაეროს ბავშვთა ფონდის ჩართულობის მნიშვნელობას განათლების და ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებულ პროექტებში. შეხვედრაზე მხარეებმა მიმდინარე და სამომავლო პროგრამები განიხილეს.

აჭარაში გაეროს ბავშვთა ფონდი არაერთ მნიშვნელოვან პროგრამას ახორციელებს ჯანმრთელობის, სოციალურ და საგანმანათლებლო სფეროებში.

საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის ახლად დანიშნულ წარმომადგენელს, ასევე, შეხვდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი. მინისტრმა იესპერ მოლერს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა ამ მნიშვნელოვან საქმიანობაში.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე განიხილეს სამინისტროსა და საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა, ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე და დასახეს საერთო პროექტების განხორციელების პერსპექტივები.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე – ხულოში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკაძე საქართველოს მთავრობის, აჭარის მთავრობის, უმაღლესი საბჭოს წევრებთან, რეგიონის საქვეუწყებო ორგანიზაციების, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად, ხულოში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებს გაეცნო

სოფელ ვაშლოვანში ახალი სკოლა და საცხოვრებელი კამპუსი შენდება. იგი 400 მოსწავლეზეა გათვლილი. ახალი სკოლა იქნება სრულად ადაპტირებული, ენერგოეფექტური, განთავსდება ლაბორატორიები, სააქტო დარბაზი. სკოლის ღია მოედანს ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია, სკოლაში გაძლიერებულად შეისწავლება საბუნებისმეტყველო საგნები და უცხო ენები.

აქტიურ ფაზაშია როგორც ადგილობრივი, ისე შიდა სასოფლო და ტურისტული მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია.

თორნიკე რიუკაძემ თანმხლებ პირებთან ერთად ხულო-უჩხოს მიმართულებით 5 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები დაათვალიერა. პროექტის მიხედვით განხორციელდა არსებული ხიდის რეაბილიტაცია და ახალი ხიდის მშენებლობა. რეაბილიტირებული გზით ისარგებლებს სოფლების - უჩხოს, ოქრუაშვილების, გუდასახოსა და კურცხალის მოსახლეობა.

დასკვნით ეტაპზეა საავტომობილო გზების დეპარტამენტის ახალი ოფისის და საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა.

აჭარის მთავრობის მეთაურმა ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში სამუშაო თათბირი გამართა, სადაც პროექტების ეფექტიანად განხორციელების და სამომავლო გეგმების შესახებ იმსჯელეს.

იხ. მე-6 გვ.

სუს-ის განცხადების შეფასებები

ხატია იაშვილი 555 18 48 88

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ პირთა გარკვეული ჯგუფი მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში გეგმავს დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის მოწყობას, მათი საბოლოო მიზანი კი ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლაა. სუს-ის ამ განცხადებას აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი ლადო მგალობლიშვილი ეხმაურება და აცხადებს, რომ „2021 წელს ბიძინაობაზე, უკრაინიდან გამოგზავნილი პოლიტიკური ჯართი როგორ ოსტატურადაც ჩააბარა ხელისუფლებამ მიმღებ პუნქტში, იგივე მოხდება ახლაც, რევანში ვერ შედგება. ქართველი და უკრაინელი მაღალჩინოსნების ოპერაცია ამჯერადაც განწირულია სასტიკი მარცხისთვის. ხალხი ბრძენია და ამჯერადაც სწორ დასკვნას გააკეთებს“.

მისივე თქმით, 2024 წლის არჩევნებზე, „ნაცმოძრაობის“ ვერცერთი სატელიტი ბარიერს ვერ გადალახავს. „ამას მოწმობს ობიექტური სოციოლოგიური გამოკითხვები და ხალხის განწყობა, რომლის თანახმადაც, რადიკალურ ოპოზიციას თეორიული შანსიც კი არ გააჩნია, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებში დაამარცხოს. ამიტომ, გარდა ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლისა, სხვა არჩევანი არ დარჩენიათ. ევროკავშირთან ურთიერთობა ძალზე სენსიტიური თემაა ქართველი ხალხისთვის. როგორც ჩანს, ბევრი მუშაობს იმაზე, რომ საქართველომ კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღოს. გვახსოვს, პოდოლიაკის განცხადება, რომ საქართველოს არანაირი შანსი არ გააჩნია კანდიდატის სტატუსის მისაღებად და ეს იყო წყლის ამღვრევის უკანასკნელი შესაძლებლობა“, - განაცხადა ლადო მგალობლიშვილმა.

ლადო მგალობლიშვილის განცხადებას, საც ის აღნიშნავს, რომ „ნაციონალები“ 2024 წლის არჩევნებში ბარიერს ვერ გადალახავენ, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი“ გიორგი კირთაძე გამოეხმაურა. როგორც მან ჩვენთან საუბარში განაცხადა: „ჯობია, დავით ბაციკაძე, დავით გაბაიძე, არჩილ ჩიქოვანი, რამაზ ჯინჭარაძე ბათუმის ქუჩებში გავიდნენ და ნახავენ, ვინ ვერ გადალახავს ბარიერს“. რაც შეეხება სუს-ის განცხადებას, გიორგი კირთაძე აღნიშნავს, რომ მთავრობას ამით ორი კურდღლის დაჭერა სურს. „სუს-ი ამ განცხადებით ახალს არაფერს ამბობს. ყველა არჩევნების დროს გვესმის მსგავსი რიტორიკა. გადატრიალებას გვაბრალებენ, გვაშინებენ, რომ ომი დაიწყება, იწყება მასშტაბური დაჭერები. ახლა, უბრალოდ, ორი კურდღლის დაჭერა სურთ. ამით უნდათ, ოთარ ფარცხალაძის თემის გადაფარვა. ქვეყანაში, ბიძინას შემდეგ გავლენით მეორე პირი ФСБ -ს აგენტი აღმოჩნდა. ამას გარდა, ფარავენ კახი კალაძის და ირაკლი ღარიბაშვილის ირგვლივ ატეხილ სკანდალს სამთავრობო რესურსების პირადი მიზნებისთვის გამოყენებასთან დაკავშირებით. ხალხი ბრძენია და მიხვდება, რა მიზანს ემსახურება მათი განცხადება“, - გვითხრა გიორგი კირთაძემ.

ლოზუნგით – „დამოუკიდებლობა კინოცენტრს“ ხელოვანებმა ბათუმში აქცია გამართეს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

„სიმართლის საათი“ - ამ სახელწოდებით პარლამენტის შესასვლელთან ხელოვანებისა და მეცნიერების წარმომადგენლებმა 20 სექტემბერს აქცია გამართეს. მათი თქმით, ისინი გეგმავენ ხმამაღლა გააჟღერონ პრობლემები, რომლებსაც „კულტურის მინისტრი თავს ვერ ართმევს“. აქციის პარალელურად კი საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატები „მინისტრის საათის“ ფორმატში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ თეა წულუკიანს უსმენდნენ

„სამწუხაროდ, ძალიან დიდი ხანია ვუყურებთ ამ რეპრესიულ, გამანადგურებელ პოლიტიკას, რომელსაც ეწევა კულტურის სამინისტრო. შევიკრიბეთ, რათა გამოვხატოთ ჩვენი პროტესტი იმ შემავიწროებელი დამოკიდებულების მიმართ, რომლითაც უდგება კულტურის სამინისტრო თანამედროვე მეცნიერებას და ქართულ ხელოვნებას. ჩვენი ერთად ყოფნა არის ერთადერთი გამოსავალი, რომ დავიცვათ ჩვენი კულტურა და მეცნიერება“, - განაცხადა დოკუმენტალისტმა ნინო გოგუამ.

აქციის მონაწილეებს პარლამენტის ტრიბუნიდან, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი გამოეხმაურა. „მინდა პარლამენტის გარეთ მდგარ სულ ერთ მუჭა ხელოვანებს, რომელთაც სახელოვნებო რევოლუციის მოხდენა უნდოდათ, მივუსამძიმრო კრახი და ვუთხრა: თქვენ პარლამენტში წარმომადგენლები არ გყავთ! თქვენ ბრძოლის მცდარი იარაღი გაქვთ შერჩეული და ფუჭ ბრძოლაში ხართ ჩართული! მე თქვენი მოკავშირე ვარ, მაგრამ გაჯერებენ, რომ ვარ არა მოკავშირე, არამედ მოწინააღმდეგე“, - განაცხადა მინისტრმა და აქციის მონაწილეებს პარტნიორობის რეჟიმში გადასვლა შესთავაზა: „მინდა იმ 60-ოდე ადამიანს, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს, ხელოვანებს მივმართო - მე მათ არ ვიცნობ, მაგრამ როგორც ამბობენ, ხელოვანები არიან, პარლამენტის გარეთ დგანან და ჩემი მინისტრობის პირობებში განხორციელებულ ნაბიჯებს აპროტესტებენ. ბრძოლის მეთოდები უნდა შეცვალოთ. კიდევ ერთხელ გთავაზობთ, გადმოდით პარტნიორობის რეჟიმში, რომ ხელი შეგიწყოთ და თქვენი შემოქმედებითი პროცესის განხორციელება შევძლოთ“. ხელოვანების თბილისის აქციას ბათუმიც შეუერთდა და ლოზუნგით: „დამოუკიდებლობა კინოცენტრს“ აქციის მონაწილეებმა პარლამენტთან შეკრებილ კოლეგებს მხარდაჭერა გამოუცხადეს. მათი თქმით, კულტურის სფეროში თეა წულუკიანი რეპრესიულ პოლიტიკას ატარებს „თბილისში დიდი აქცია იმართება, ჩვენ კი ბათუმში სოლიდარობის აქციას ვმართავთ და მოთხოვნებს ვუერთდებით. აქ კულტურის სფეროს სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები შევიკრიბეთ. ვაპროტესტებთ მინისტრის რეპრესიულ პოლიტიკას და კინოცენტრის დამოუკიდებლობას მოვითხოვთ“, - განაცხადა მსახიობმა თინა ლაღიძემ.

„საზღვაო ქვეყნის ლურჯი პოლიტიკა“

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო პიკნიკის „საზღვაო ქვეყნის ლურჯი პოლიტიკა“ ფარგლებში, სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე II“ გაიმართა, რომლის ორგანიზატორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროები და თავად უმაღლესი სასწავლებელია.

ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის ბიომრავალფეროვნების, ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსების, კლიმატის, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურულ-ისტორიული და სხვა მიმართულებით არსებული უახლესი სამეცნიერო კვლევები, მოეწყო გამოფენები, კონფერენცია, ვორქშოპები, შემეცნებითი ვიქტორინები, ექსპერიმენტები მოსწავლეებისათვის და სხვა აქტივობები. გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე II“ და სამეცნიერო პავილიონების გამოფენა.

ორდღიანი კონფერენცია გახსნეს და მონაწილეებს მიესალმნენ ბსუ-ის რექტორი მერაბ ხალვაში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

იხ. მე-5 გვ.

ქრონიკა

ბათუმი, შავშეთის ქუჩაზე, 20 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე ასფალტის საფარი დაიგება, მოეწყობა სანიაღვრე სისტემები, გარე განათება, ტროტუარები და ბორდიურები. დაგეგმილია ლეონიძისა და იმედაიშვილის ქუჩების სრული რეაბილიტაციაც. მიმდინარე სამუშაოებს ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, ბათუმის საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსთან აკაკი ბერიძესთან ერთად გაეცნო. მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, სატრანსპორტო მოძრაობა შეიზღუდა შავშეთის ქუჩაზე, ბაგრატიონისა და ანდრონიკაშვილის ქუჩებს შორის არსებულ მონაკვეთში. დროებით შეიცვალა №11 მუნიციპალური ავტობუსის მარშრუტი, რომელიც სამუშაოების დასრულებამდე სულაბერიძის ქუჩის გავლით იმოძრავებს, ხოლო №1 და №1ა სამარშრუტო ავტობუსები ლეონიძის ქუჩის ნაცვლად, გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩებზე განაგრძობს.

* * *

აჭარის დელეგაცია, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძის ხელმძღვანელობით, სამუშაო ვიზიტით პოლონეთში იმყოფებოდა. უმაღლესი საბჭოს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა ქალაქ ვროცლავის, პშიბნიცასა და ქვემო სილეზიის ხელმძღვანელ პირებთან. განიხილეს საქართველოსა და პოლონეთის რეგიონებს, მუნიციპალიტეტებს შორის სამომავლო თანამშრომლობის საკითხები, ერთობლივი პროექტების განხორციელების პერსპექტივები. მხარეები შეთანხმდნენ, სამომავლოდ, შუახევისა და პშიბნიცას მუნიციპალიტეტებს შორის აქტიურ თანამშრომლობაზე განათლების მიმართულებით. კერძოდ, ადრეული და სკოლამდელი, ასევე, სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების მართვის კუთხით არსებული გამოცდილების გაზიარებაზე.

* * *

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე გაეროს ბავშვთა ფონდის ახალ წარმომადგენელს საქართველოში იესპერ მოლერს შეხვდა. სამინისტროში გამართულ გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე ორგანიზაციებს შორის არსებული თანამშრომლობა მიმოიხილეს და ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების შესაძლებლობის გზებზე ისაუბრეს.

* * *

ბათუმის მერიისა და სპორტული ცენტრის ორგანიზებით ღია ფესტივალი ჩატარდა ნიჩბოსნობაში, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა. ეს იყო საქართველოს ღია ჩემპიონატი - საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს სპორტსმენებთან ერთად, საბერძნეთისა და სომხეთის გუნდები, სულ 100-ზე მეტი ნიჩბოსანი მონაწილეობდა (2005-დან 2012 წლამდე დაბადებული სპორტსმენები). ბათუმელებიდან სხვადასხვა ასაკში ერთადგილიან და ორადგილიან ბაიდარში საპრიზო, პირველ-მეორე ადგილებზე ანგელინა ლუკიანენკო, კარინა ლუკიანენკო, ლიანა ეგიზაროვა გავიდნენ. მესამე საპრიზო ადგილი კი ირაკლი სულაბერიძემ დაისაკუთრა. როგორც ბათუმელთა მწვრთნელმა ედნარ ჩაზმავამ გვითხრა, ამჟამად 32 ბავშვი ვარჯიშობს, უმეტესად, არაქართველები.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

მთავარი პირობა – სახელმწიფოებრივი აზროვნება

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

2024 წლისთვის საპარლამენტო არჩევნები დაანონსებულია და არაოფიციალურად უკვე საარჩევნო მარათონიც დაწყებულია. როგორი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებაა ქვეყანაში? პოზიცია და ოპოზიცია როგორ ჩანს მოვლენათა ფონზე? რა ასაზრდოებს პოლიტიკურ ვნებათაღელვებს და რა გამოწვევების წინაშეა ეს ქვეყანა კანდიდატის სტატუსის მოლოდინში? - ამ და სხვა აქტუალური საკითხებზე საკუთარ თვალსაზრისს გვთავაზობს პოლიტოლოგი ***გელა ირემაძე.***



- როგორ დაახასიათებთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს?

- ქვეყანაში არაოფიციალურად საარჩევნო მარათონი დაწყებულია და ამის ნიშნები თვალსაჩინოა. საპარლამენტო არჩევნები 2024 წლის ოქტომბერში ჩატარდება. ვისურვებდი, რომ ეს არჩევნები ცივილურად წარიმართოს, რადგან დემოკრატიული, ევროპული სტანდარტების არჩევნები განაპირობებს ქვეყნის დაახლოებას დასავლეთთან, ამის საფუძველი კი თავად პოლიტიკურმა სპექტრმა უნდა შექმნას.

- რას გულისხმობთ?

- პაექრობა, კამათი ცივილურად, არგუმენტების მოშველიებით უნდა წარიმართოს და არა მუშტიკრივით. ეს ეხება როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას. სამწუხაროდ, საქართველოში დღეს ურთიერთდაპირისპირება და გაუტანლობა თვალშისაცემია.

- მმართველმა პარტიამ პრეზიდენტის იმპიჩმენტი დააანონსა, ჰქონდა საამისო მიზეზი?

- სამართლებრივად მე ვერ შევაფასებ, ამაზე ცხადია, კონსტიტუციონალისტები უკეთ ისაუბრებენ. არსებობს რიგი საკითხები პრეზიდენტთან მიმართებით: მან უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია მივლინებებთან დაკავშირებით. საქართველოს კონსტიტუციაში გაწერილია პრეზიდენტის უფლებამოსილება და მისი სტატუსი განსაზღვრულია... მოქმედი რედაქტირებული კონსტიტუცია (რომელიც 2012 წელს ამოქმედდა) ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი არის მინისტრთა კაბინეტი, პრემიერ-მინისტრი და მათი ჩართულობით ხდება პრეზიდენტის უფლებამოსილების განსაზღვრა. რა თქმა უნდა, პრეზიდენტს აქვს უფლება, საგარეო კუთხით პოლიტიკაში იაქტიუროს, რასაც ახორციელებს, მაგრამ ამას არეგულირებს მოქმედი კონსტიტუცია. ჩემი აზრით, პრეზიდენტმა გარკვეულწილად დაარღვია რედაქტირებული კონსტიტუციური ჩანაწერი და ამ საკითხმაც წინა პლანზე წამოიწია. ეს პოლიტიკურ ვნებათაღელვას ამძაფრებს, რადგან საქართველოს საერთაშორისო არენაზე აქვს სერიოზული გამოწვევებები, დეკემბერში ჩვენი ქვეყანა ელოდება კანდიდატის სტატუსს ევროკავშირისგან.

- რამდენად მოსალოდნელია, რომ „ნაცმოძრაობამ“ პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარი დაუჭიროს? მით უფრო, კულუარებში გაცხადდა, რომ „ნაცმოძრაობა“ გაჭრობს ამ საკითხთან დაკავშირებით...

- ვფიქრობ, პრეზიდენტი საკუთარ იმიჯს გაუფრთხილდება, თავს გადაირჩენს და, ყოველ შემთხვევაში, გარიგებაზე „ნაცმოძრაობასთან“ ღიად არ წავა, თუმცა კულუარულად გაიუღერა, რომ მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია როგორც ამ პარტიასთან, ისე სხვა ოპოზიციურ ძალებთან სხვადასხვა საკითხზე.

- ოპოზიციის შენიშვნები და რეკომენდაციები ხელისუფლების მიმართ რამდენად არგუმენტირებულია?

- ეკონომიკის, უსაფრთხოების, საგარეო პოლიტიკის საკითხებზე არის ჯანსაღი კრიტიკა და ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ არსებობს თემები, რომლებიც ოპოზიციის ცალკეულ ლიდერებს, კონკრეტულ დეპუტატებს არასწორად მიაქვთ მოსახლეობამდე, რაც ქმნის არაჯანსაღ სიტუაციას... არის ასეთი გამონათქვამი: „ნაბან წყალს ბავშვი არ უნდა გადააყოლო“. ეს არის მთავარი! ასევე, ჩვენ ვხედავთ, რომ რიგ ოპოზიციურ პარტიებს მოსახლეობის მხარდაჭერა არ აქვთ.

- ექსპერტები ამბობენ, რომ ოპოზიცია სატელევიზიო ოპოზიციად გადაიქცა...

- სუსტი და დეზორგანიზებული ოპოზიცია ქვეყნისთვის ცუდია, მათ უნდა ჰქონდეთ იდეა, გეგმა, სტრატეგია სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. მარტო იმის თქმა, რომ ხელისუფლება არ ვარგა, არასაკმარისია, ისინი მოსახლეობას უნდა ხვდებოდნენ და მათი გასაჭირი უნდა მიიტანონ ხელისუფლებამდე... რა თქმა უნდა, ვერავინ უარყოფს, რომ საქართველოში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა. სოციალური პრობლემები, დასაქმების საკითხი და უამრავი რამ მოსახლეობაში ნიჰილიზმს ქმნის. მოსახლეობის ნაწილის მიმხრობა რომ შეძლოს ოპოზიციამ, ამას სერიოზული ძალისხმევა სჭირდება. დღეს ოპოზიციური არეალი გახლეჩილია, მათ გაუჭირდებათ ერთიანი ძალით გამოსვლა არჩევნებში.

- წლის მიწურულს ჩვენი ქვეყანა ევროკავშირისგან ელოდება კანდიდატის სტატუსს... რა მოლოდინი გაქვთ?

- ჩვენი ქვეყანა ნამდვილად იმსახურებს კანდიდატის სტატუსს, ვხედავთ ტელევიზიით, პრესით, რომ ეს გახდა პოლიტიკური სპეკულაციის თემა. როგორც ცნობილია, უკრაინასა და მოლდოვას ჩვენზე ადრე მიენიჭა კანდიდატის სტატუსი. გასაგებია, რომ უკრაინა ომშია ჩართული და თვითგადარჩენისთვის იბრძვის, ასევე, მოლდოვა არ არის ჩვენზე მაღალ დონეზე დემოკრატიის და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ბოლოს და ბოლოს, მოლდოვა არის დსთ-ის წევრი, თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობა აქვს რუსეთთან, მიუხედავად ყველაფრისა, ევროკავშირმა ამ ქვეყნებს მიანიჭა კანდიდატის სტატუსი. ვსვამ კითხვას: რა დაეშავა საქართველომ ისეთი, რომ არ მისცეს ეს სტატუსი? მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყანა ამას ნამდვილად იმსახურებს.

- კანდიდატის სტატუსი რა პერსპექტივას უსახავს ქვეყანას?

- ეს სტატუსი ფართო სპექტრით განისაზღვრება. არსებობს ევროკავშირის ქვეყნები, რომლებიც მის გარეშე გაერთიანდნენ ევროკავშირში, ეს არის ჩვეულებრივი სამოქმედო გეგმა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაზეა ორიენტირებული და სახელმწიფოს ეს აანლოებს ევროკავშირთან. ამ მხრივ, უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს ექნება განსახორციელებელი გარკვეული ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე, ეკონომიკის, საგადასახადო სისტემის, სასამართლოს, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით და ამ რეფორმების შესრულებაზეა შემდგომ დამოკიდებული, თუ როდის შეძლებს ქვეყანა ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობას. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის სტატუსი ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვან დივიდენდებს მოუტანს: ეტაპობრივად მოხდება ფინანსების გამოყოფა სხვადასხვა სფეროში, შემდგომ მონიტირინგი და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ თანხების მიზნობრივი ხარჯვა. ჩვენი ძირითადი მოცემულობა ევროკავშირის ბაზარზე არის ჩვენი გეოპოლიტიკური და სანაოსნო მდგომარეობა, სოფლის მეურნეობა და ის დარგები, რომელიც გვაქვს.

- კანდიდატის სტატუსზე უარის შემთხვევაში, როგორი იქნება რუსეთის რეაქცია?

- ეს, გარკვეულწილად, რუსულ პოლიტიკაზე დაასხამს წყალს, იგივე მცოცავი ოკუპაცია უფრო გააქტიურდება. სამწუხაროდ, დღეს არანაირი სამართლებრივი მექანიზმი არ გაგვაჩნია საერთაშორისო არენაზე ჩვენი ქვეყნის დასაცავად, ანუ ჩვენ არ ვართ ნატოს წევრი და ევროკავშირის წევრობაც არ ნიშნავს ქვეყნის სუვერენიტეტის გარანტიებს საერთაშორისო არენაზე. მინდა, ეს კარგად გაითავისოს ჩვენმა მკითხველმა.

- სხვათა შორის, ამას წინათ დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ შესაძლოა აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ რუსეთის შემადგენლობაში მიიღონ, ეს რისი მანიშნებელია?

- რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ეს ქვეყანა სახელმწიფოების ოკუპაციითაა დაკავებული, საქართველო და უკრაინა ამის მაგალითებია, აგერ, ჩვენ თვალწინ ხდება უკრაინის ტერიტორიების ოკუპაცია და ვხედავთ, როგორია დასავლეთის რეაქცია. აქედან გამომდინარე, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან რუსეთს ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული.

- რაკიღა უკრაინა გახსენეთ, მინდა გკითხოთ: ახლა ომის რა ფაზაა?

- ძირითადი ბრძოლები ლუგანსკის და დონეცკის რეგიონებში მიმდინარეობს, უკრაინამ პრაქტიკულად გაათავისუფლა ბახმუტი, თუმცა დასავლეთი მისი კონტრშეტევით უკმაყოფილოა და ამასთან დაკავშირებით გაკეთდა კიდეც განცხადება. ისინი უფრო მეტს მოელოდნენ ამ კონტრშეტევისგან. ხაზგასმით იმის თქმა, რომ ომი რამდენიმე თვეში დასრულდება, შეუძლებელია, ეს არის რეალობა, რასაც ეწირება უკრაინული მოსახლეობა. წლის ბოლოს უკრაინას გადაეცემა F-16-ები, რამაც მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა შეიტანოს ომში უკრაინის სასარგებლოდ.

- საშინაო პოლიტიკას დავუბრუნდეთ - ოპოზიციურ ფლანგზე ვხედავთ გარკვეულ გადაადგილებებს: „ნაცმოძრაობამ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ ახალი პლატფორმა შექმნეს...

- „სტრატეგია აღმაშენებლის“ პოლიტიკურ წარსულს და მხარდამჭერთა რაოდენობას თუ განვიხილავთ, „ნაცმოძრაობის“ რეიტინგს ძირეულად ვერ გაზრდის. ჩვენ მსგავსი გაერთიანება არაერთგზის გვინახავს, რომელიც საპნის ბუშტივით გასკდა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ან არჩევნების შემდეგ. ჩვენი ძირითადი პრობლემა არის შეუთავსებლის შეთავსება, ასევე, მანდატის საკითხი, ანუ როცა მაგიდასთან სხდებიან მანდატების გამო, სწორედ მაგ დროს წყდება ყველაფერი და მთავრდება კოალიციის დაშლით.

- მოქმედ პოლიტიკურ ძალებს შორის თუ ხედავთ ისეთს, რომელსაც შესწევს უნარი, მესამე ძალად მოგვევლინოს?

- გახარიას პოლიტიკურ ძალას („საქართველოსთვის“) ამის შესაძლებლობა ჰქონდა და ბოლომდე არ დაუკარგავს, მაგრამ ამ პოლიტიკურმა პარტიამ დრო სათავისოდ ვერ გამოიყენა. თუ ისინი უფრო გააქტიურდებიან, სამომავლოდ შესაძლებელი იქნება მესამე ძალაზე ფიქრი, ამ მხრივ, ასევე, აქტიურობს „ლელო საქართველოსთვის“, ჯერჯერობით კი მესამე ძალა ქვეყანაში არ არსებობს, რაც ძალიან სამწუხაროა.

- თქვენი აზრით, მომავალი არჩევნები ისევ ურთიერთდაპირისპირების ფონზე ჩაივლის?

- ვფიქრობ, ის რთული იქნება და ამის თქმის საშუალებას მაძლევს არსებული მოცემულობა - მმართველი პარტიისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთს არ ინდობენ, ურთიერთს ქვეყნის ღალატსა და დაქცევაში ადანაშაულებენ, რაც ქართულ სახელმწიფოს მნიშვნელოვნად აზარალებს თუნდაც არასტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნის თვალსაზრისით.

- რამდენად მოსალოდნელია კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება?

- ვისურვებდი, 2024 წლისთვის ქვეყანას ჰყავდეს კოალიციური მთავრობა. ეს გახლავთ ჩვენი დასავლელი პარტნიორების სურვილიც, ანუ საკანონმდებლო ორგანო სხვადასხვა პარტიით იყოს დაკომპლექტებული.

- არის თუ არა მომავალი არჩევნები ისტორიული მნიშვნელობის?

- ნებისმიერი არჩევნები არის ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის. საერთოდ, არჩევნებიდან არჩევნებამდე სახელმწიფომ უნდა გაზარდოს დემოკრატია, დემოკრატიის ნიშნული. ჩვენი ბოლო არჩევნები, რომელიც დასავლეთში შეფასდა ყველაზე დემოკრატიულად, იყო 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები და მას შემდეგ, სამწუხაროდ, საარჩევნო სისტემასთან მიმართებით ბევრი კითხვის ნიშანი აქვს დასავლეთს. თუ ჩვენ მათ რეკომენდაციებს (სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით) არ შევასრულებთ, გაგვიჭირდება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია.

- ისტორია გვასწავლის, რომ ყოველი დიდი ომის შემდეგ მსოფლიოს ახალი წესრიგი ყალიბდება. საქართველო რომ დასავლეთის ჭოლგის ქვეშ აღმოჩნდეს, ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს?

- მან ძალიან ბევრი რამ უნდა გააკეთოს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, თუმცა რასაც აკეთებს, დასავლეთისთვის ძალიან მიზერულია. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებასთან ერთად უნდა გაიზარდოს სამოქალაქო საზოგადოება, სამოქალაქო სექტორი. დღეს ჩვენ ვხედავთ, რა სიტუაციაა, ანუ პოლარიზებულია ქვეყნის პოლიტიკური გარემო, არადა ერთ-ერთი მოთხოვნა დასავლეთისგან იყო დეპოლარიზაციის დასრულება, რაც სახელმწიფომ ვერ შეძლო. სამწუხაროდ, დეპოლარიზაცია არის შეუსრულებელი ვალდებულება. სანამ ჩვენ ყველა ერთად (პოლიტიკოსები, სამოქალაქო საზოგადოება, მედიასაშუალებები) არ გავაცნობიერებთ, რატომ გვინდა საქართველოს ევროსტრუქტურებში გაწევრიანება და ამისთვის რა გვმართებს, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ქვეყანა გაძლიერდეს, იქამდე მოლოდინში ვიქნებით. ამ ქვეყნის სუვერენიტეტს უნდა გაუფრთხილდეს ყველა - პოზიცია, ოპოზიცია, მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა. ამის მთავარი პირობაა სახელმწიფოებრივი აზროვნება. თუ ჩვენ სახელმწიფოებრივად არ ვიაზროვნეთ, არაფერი გამოვა.

რა დასკვნის საშუალებას იძლევა ყარაბაღის ომი?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

სამხრეთ კავკასიაში უპრეცედენტო მოვლენა მოხდა - აზერბაიჯანმა ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინა. შეიძლება ითქვას, ეს არის ტექტონიკური ძვრა ჩვენს რეგიონში, რომელმაც შესაძლოა, დომინოს ეფექტი იქონიოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით

მთიანი ყარაბაღის მესამე ომთან მიმართებით ისმის კითხვა: რატომ არ ჩაერია სომხეთი ომში, რატომ დათანხმდა ყარაბაღის სეპარატისტული მთავრობა აზერბაიჯანის ულტიმატუმს და რა მიზანი ამოძრავებთ დასავლეთსა და რუსეთს სამხრეთ კავკასიაში? ამასთან, შეინარჩუნებს თუ ვერა ფაშინიანი ძალაუფლებას?

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მთიანი ყარაბაღის ბედი სამი წლის წინ გადაწყდა, როდესაც აზერბაიჯანმა ფართომასშტაბიანი ომი წამოიწყო სეპარატისტების წინააღმდეგ. მაშინ ბაქომ 44-დღიანი ომის შედეგად, პრაქტიკულად, გაათავისუფლა მთიანი ყარაბაღის 80 პროცენტი, მხოლოდ დედაქალაქი სტეპანაკერტი რჩებოდა სომხების ხელში. აზერბაიჯანმა კარგად გამოიყენა შექმნილი საერთაშორისო ვითარება - კოვიდის გამო დაწესებული შეზღუდვები და კრემლის ანტიერევნული პოზიცია. თავის მხრივ, სომხეთის პრემიერი ნიკოლ ფაშინიანი, რომელმაც არა მხოლოდ პრორუსული ძალები გაანეიტრალა ქვეყანაში, არამედ დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა, მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთისთვის, ამიტომ ამ უკანასკნელმა, ერთი მხრივ, განიზრახა მისი დასჯა და, მეორე მხრივ, მოერიდა აზერბაიჯანის მხარდამჭერ თურქეთთან დაპირისპირებას. გარდა ამისა, დასავლეთმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, რაც, პრაქტიკულად, ბაქოს მხარდაჭერას ნიშნავდა.

სომხეთის დამარცხების მიზეზი მრავალი ფაქტორიდან მომდინარეობს, ეს ქვეყანა 30 წლის განმავლობაში მთლიანად რუსეთზე იყო დამოკიდებული, არ ვითარდებოდა, სამხედრო შეიარაღება საბჭოური ჰქონდა, დასავლეთი არ წვრთნიდა მის სამხედროებს, რაც მნიშვნელოვანი კომპონენტია, აზერბაიჯანმა კი ყარაბაღის პირველი ომის შემდეგ ტრანსფორმაცია განიცადა, მის სამხედროებს ნატოს წევრი თურქეთი წვრთნიდა, გარდა ამისა, თურქეთისა და ისრაელისგან ბაქომ მნიშვნელოვანი თანამედროვე შეიარაღება მიიღო, მათ შორის, დრონების მეშვეობით, ბაქომ შეძლო ომში უპირატესობის მოპოვება. 44-დღიანი ომი, როგორც ვთქვით, აზერბაიჯანის გამარჯვებით დასრულდა. მაშინ შუამავალი რუსეთი იყო.

ცხადია, სომხეთის მარცხმა ყარაბაღის მეორე ომში მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. მაშინ, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, დემონსტრაციები მიმდინარეობდა ერევანში, თუმცა ფაშინიანმა ძალაუფლება შეინარჩუნა, ქვეყანაში რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა, სადაც გაიმარჯვა, თუმცა ერევნის მერი ოპოზიციონერი კანდიდატი გახდა.

ყარაბაღის მესამე ომამდე რუსეთი ყველანაირად ცდილობდა ფაშინიანის ჩამოგდებას, მაგრამ ის კერკეტი კაკალი აღმოჩნდა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო დასავლეთის ჩართულობით სომხეთის და აზერბაიჯანის პირველი პირების შეხვედრები, სადაც, ექსპერტთა თქმით, ამ ქვეყნებს შორის სამომავლო ურთიერთობა განიხილებოდა.

იხ. მე-7 გვ.

ინოვაციური პროექტების დანერგვა მიმდინარე სასწავლო წელსაც გაგრძელდება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. შუახევის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში არსებულ ვითარებაზე, ასევე, სხვა თემებზე შუახევის რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე გვესაუბრება

- მადლობა, რომ დაინტერესდით შუახევის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ვითარებით. ამჟამად ჩვენთან 43 საჯარო და ერთი კერძო - საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული სკოლაა. სასწავლო პროცესი ყველგან წარმატებით დაიწყო. სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგები მომზადებული შეხვდნენ 15 სექტემბერს, ყველგან დაირეკა ზარი. სწავლის დაწყების საზეიმო ღონისძიებებს სხვადასხვა სკოლაში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შუახევის რესურსცენტრის, მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მიმდინარე წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტში სასწავლო პროცესს 724 მასწავლებელი წაუძღვება. უკვე საკმაოდ გვყავს როგორც მენტორი და წამყვანი, ისე უფროსი მასწავლებლები. გასული წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით გავაგრძელებთ მოსწავლეთა მხარდამჭერ ღონისძიებებს, გვექნება სიახლეები. წარმატებულ პრაქტიკას არ დავივიწყებთ და საინტერესო ინოვაციებსაც შემოვიტანთ. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით გაგრძელდება სასწავლო პროცესი მეთერთმეტე კლასში, მომავალში - მეთორმეტეში და მოიცავს მთლიანად ყველა კლასს. გასულ წელს პირველ კლასში დაემატა ჭადრაკი, წელს - მეორე კლასშიც. საინტერესო სიახლეა ისიც, რომ წელს შუახევშიც დაიწყება სკოლების ავტორიზაციის პროცესი, რაც დიდი გამოწვევაა სკოლებისათვის. მაქსიმალურად დავეხმარებით სკოლებს, რომ ეს პროცესი უმტკივნეულოდ წარიმართოს.

- უშუალოდ რესურსცენტრის საქმიანობას რა მიმართულებით წარმართავთ?

- შუახევის რესურსცენტრის საქმიანობა ბევრ სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს. ესაა სასწავლო გარემო, ინფრასტრუქტურა, ტექნიკურ-მატერიალური რესურსებით სკოლების აღჭურვის ხელშეწყობა, მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა, უსაფრთხო გარემოს შექმნა, სკოლებში კვალიფიციური კადრების მოზიდვის ხელშეწყობა, იურიდიული, ფინანსური, მეთოდური და პროფესიული კონსულტაციების მიწოდება, სასწავლო პროცესის და გარემოს მონიტორინგი და სხვა. მათგან, ვფიქრობ, უაღრესად მნიშვნელოვანია სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის ზრუნვა, რომელიც სამ ძირითად მიმართულებად შეიძლება დავყოთ: პირველი - მოსწავლეთა მხარდაჭერა და სწავლების ხარისხის ამაღლება სკოლებში, მეორე - მასწავლებელთა წახალისება, მხარდაჭერა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და მესამე - ადმინისტრაციის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სამივე მიმართულების მხარდაჭერა ავტომატურად ნიშნავს სწავლების ხარისხის ამაღლებას.

- რა კეთდება მასწავლებელთა პროფესიული დაოსტატებისათვის?

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მთელი ძალისხმევა მიმართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისაკენ. საჯარო სამართლის იურიდიული პირების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და აჭარის განათლების ფონდის ბათუმის მასწავლებლის სახლის მიერ წლებია ტარდება სწავლებები, ტრენინგები, ვორქშოპები, სკოლებს მიეწოდება ელექტრონული რესურსები და მათი გამოყენების ინსტრუქციები, იმართება მასწავლებელთა ეროვნული და რეგიონული კონფერენციები, სამინისტროები და მუნიციპალიტეტის მერია ატარებენ მასწავლებელთა დღეებს და აჯილდოებენ წარმატებულ მასწავლებლებს. მისასალმებელია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინიციატივა მასწავლებელთა ეროვნული დღის დაწესებასთან დაკავშირებით. სკოლებს შეუძლიათ, წარმატებული მასწავლებლების შესახებ ინფორმაცია შეუზღუდავად გადააგზავნონ სამინისტროში და ჯილდოზე წარადგინონ დამსახურებული მასწავლებლები. ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა აჭარის მთავრობის გადაწყვეტილება, მასწავლებლებისათვის 500-ლარიანი, ყოველთვიური დანამატის დაწესება ინოვაციური პროექტების განხორციელებისთვის, ასევე, მხარდაჭერის სხვა ღონისძიებები. ეს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მასწავლებლის პროფესიას და ხელს უწყობს მათ პროფესიულ დაოსტატებას.

- ქვეყნის მასშტაბით პირველებმა დაუდეთ საფუძველი მასწავლებელთა მუნიციპალურ კონფერენციებს...

- უკვე ხუთჯერ ჩატარდა მასწავლებელთა მუნიციპალური კონფერენცია. V მუნიციპალურ კონფერენციაში, რომელიც წელს, მაისში გაიმართა, 140-მდე მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, 78 მომხსენებელი იყო. კონფერენციის მიზანია წარმატებული პრაქტიკის კოლეგებისათვის გაზიარება, ინოვაციური მიდგომების გაცნობა და დანერგვა სასწავლო პროცესში. საუკეთესო მოხსენებებს აჭარის განათლების ფონდის - ბათუმის მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ რეგიონულ კონფერენციაზე წარადგენენ, სადაც, ასევე, დარეგისტრირდებიან მსმენელი მასწავლებლები.

- როგორია მოსწავლეთა მონაწილეობა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ აქტივობებში?

- მრავალ კონკურსს, ოლიმპიადას, შემეცნებით აქტივობას ატარებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროები, შუახევის რესურსცენტრი, სხვადასხვა ორგანიზაცია, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული ჩვენი სკოლები და მოსწავლეები. აჭარის მასშტაბით სამინისტროს მიერ ორგანიზებულ მხატვრული ლიტერატურის კონკურსს „ლიტერატურულ მარათონში“, საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შორის, პირველი და მეორე ადგილი დაიკავეს ახალდაბისა და ჭალის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. მოსწავლეები მონაწილეობდნენ და საპრიზო ადგილები აიღეს შემოქმედებით კონფერენციებში, ესეების კონკურსში, სახვით ხელოვნებაში, გუნდურ საგნობრივ და სხვა კონკურსებში. აჭარის მასშტაბით გამართულ სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორულ ოლიმპიადაზე გრან-პრი მოიპოვა მახალაკიძეების საჯარო სკოლის ფოლკლორულმა ანსამბლმა „მარეთმა“. საქართველოს ეროვნულ ოლიმპიადაზე, ისტორიაში, საპრიზო ადგილი მოიპოვა საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის მოსწავლემ. ეროვნულ ინტელექტუალურ შეჯიბრში „საქართველოს ეტალონი მოსწავლე“, 2022 წლის შემოდგომისა და 2023 წლის გაზაფხულის სეზონებზე, საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის მოსწავლეებმა გაიმარჯვეს. კონკურსებსა და ოლიმპიადებს ატარებდა რესურსცენტრიც სხვადასხვა საგანში, რომელშიც ჯამურად, 807-მა (1460 მოსწავლიდან) მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. გამოვლინდა 29 გამარჯვებული, რომლებიც დაჯილდოვდნენ სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით. მადლობა გამოვუცხადეთ მათ მასწავლებლებს და სკოლებს. ყველა ეს პროგრამა და პროექტი გაგრძელდება მიმდინარე სასწავლო წელსაც.

- ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წელს ყველაზე მაღალ შედეგს მიაღწიეთ. რა ფაქტორებმა განაპირობა ეს?

- შუახევის ისტორიაში წელს რეკორდი მოვხსენით. აბიტურიენტთა 82,5 პროცენტმა წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, მათგან 10 პროცენტზე მეტმა მოიპოვა სახელმწიფო გრანტი, სამი კი ასპროცენტიანი გრანტის მფლობელი გახდა. ასეთი შედეგების მიღწევას ბევრი ფაქტორი უწყობს ხელს. პირველ რიგში, სკოლებში კარგად ორგანიზებული სასწავლო პროცესი, სახელმწიფოს მხარდამჭერი ღონისძიებები, მოსწავლეთა ჩართულობა სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობაში, სასწავლო და შემეცნებით პროექტებში, ბანაკებში და სხვა. გასულ სასწავლო წელს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტით, ხულოსა და შუახევში გაიხსნა აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი პანდემიის დროს წარმოქმნილი ხარვეზების საკომპენსაციოდ. ჩვენი ინიციატივით და მერიის მხარდაჭერით, შუახევში ჩამოყალიბდა მხატვრული ლიტერატურისა და ინგლისური ენის კლუბები, რომლებშიც 128 მოსწავლე იყო ჩართული. ამ კლუბებმაც დიდი როლი შეასრულა, როგორც ინგლისური, ისე ქართული ენის და ლიტერატურის საგნობრივი ცოდნის და უნარების გაღრმავებაში. მიღებული ცოდნა, ბუნებრივია, წაადგათ აბიტურიენტებს ეროვნულ გამოცდებზე. ყველა ეს პროგრამა წელსაც გაგრძელდება და ვფიქრობ, ასეთივე წარმატებები გვექნება 2024 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზეც.

- სკოლების ინფრასტრუქტურაზე რას გვეტყვით?

- ახლანდელი მდგომარეობით, მიმდინარეობს ერთი სკოლის მშენებლობა, შვიდ სკოლაში დასრულდა ან მიმდინარეობს ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები, როგორიცაა: ფასადის შეკეთება, სახურავის გამოცვლა, ეზოს კეთილმოწყობა, სპორტული დარბაზისა და ღია ტიპის მოედნების მოწყობა და სხვა. საგანგაშო მდგომარეობა, რის გამოც სასწავლო პროცესს ვერ დავიწყებდით, არცერთ სკოლაში არ გვაქვს.

- რა მდგომარეობაა სკოლების სასწავლო სახელმძღვანელოებითა და სასწავლო კომპიუტერებით მომარაგების მხრივ?

- 2013 წლიდან საჯარო სკოლების ყველა მოსწავლე უფასოდ იღებს სასკოლო სახელმძღვანელოს და მოსწავლის რვეულს. წელს ყველა სკოლაში სრულადაა შემოტანილი ყველა კლასის სასკოლო სახელმძღვანელო. საჯარო სკოლის ყველა პირველკლასელმა და მათმა დამრიგებელმა მიიღო კომპიუტერი. მაღე შემოვა კომპიუტერები 2023 წლის საბაზო საფეხურის წარჩინებული კურსდამთავრებულებისთვის.

- რამდენიმე დღის წინ ინფორმაციით წარსდექით მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში...

- შუახევის რესურსცენტრის საქმიანობა აბსოლუტურად ღია და გამჭვირვალეა ყველასთვის. ყველა განხორციელებული აქტივობის შესახებ რესურსცენტრმა საყოველთაო წარდგინება და შედეგების განხილვა რამდენჯერმე მოაწყო დაინტერესებული საზოგადოებისათვის. ღონისძიებებს ხშირად ესწრებოდნენ საკრებულოს წარმომადგენლებიც, ასე რომ, მათთვის ისედაც ცნობილი იყო ჩვენი საქმიანობის შესახებ, თუმცა, სხდომაზე უფრო სიღრმისეულად განვიხილეთ თითოეული პროექტი. იყო საინტერესო შეკითხვები პროექტების შედეგებსა და მდგრადობაზე. წარმომადგენლობით ორგანოში ერთხმად მოიწონეს რესურსცენტრის მიერ გაწეული საქმიანობა, შეგვპირდნენ მხარდაჭერას ინოვაციების დანერგვაში.

გაისად პირველ კლასში დეკემბრამდე დაბადებული მოსწავლეებიც შევლენ

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ახალ - 2024-2025 სასწავლო წელს პირველ კლასში შესვლის ასაკი კიდევ ერთი თვით გადაიწევს და სკოლაში დარეგისტრირებას ის ბავშვებიც შეძლებენ, რომლებიც პირველ დეკემბრამდე არიან დაბადებულნი

ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა განაცხადა და განმარტა, რომ მშობლებისთვის შვილის სკოლაში შეყვანა ნებაყოფლობითი იქნება.

„პროცესი დაახლოებით ორი წლის წინ დავიწყეთ სხვადასხვა კვლევისა და დაკვირვების შემდეგ. მაშინ პარლამენტში ვიყავი. რა თქმა უნდა, ეს ნებაყოფლობითია და თუ მშობელი ფიქრობს, რომ ნაადრევია მისი შვილისთვის სკოლაში შეყვანა, მას უფლება აქვს დატოვოს ბაღში და შემდგომ წელს მიიყვანოს. თუმცა, იმ მომართვიანობიდან გამომდინარე, რაც ჩვენ დაგვიგროვდა, დავიწყეთ ნაბიჯ-ნაბიჯ ამ ვადის გადმოწევა. თუ გახსოვთ, იყო თხუთმეტი სექტემბერი, შემდგომ გავხადეთ პირველი ოქტომბერი და წელს გვაქვს უკვე პირველ ნოემბრამდე. წელს ყველა შევიდა, ვინც პირველ ნოემბრამდე იყო დაბადებული. სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება-მატებასთან ერთად, გვინდა, რომ ყოველ წელიწადს ერთი თვით გადავწიოთ (სწავლის დაწყების ასაკი), ანუ შემდეგ წელს ეს უკვე იქნება პირველ დეკემბრამდე დაბადებული ბავშვებისთვის, შემდეგ წელს - 31 დეკემბრამდე. ვფიქრობთ, ეს (31 დეკემბერი) არის ყველაზე სამართლიანი და სწორი წყალგამყოფი, სადაც უნდა გავჩერდეთ და შემდგომ უკვე მშობელმა თავად გადაწყვიტოს, შეიყვანოს ბავშვი თუ არა, ამიტომ ეს სიახლე წელს ნამდვილად გვაქვს და კიდევ გაგრძელდება“, - განაცხადა გიორგი ამილახვარმა.



შეგახსენებთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2023-2024 წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 55 000-ზე მეტმა პირველკლასელმა დაიწყო სწავლა.

გრანტის მფლობელი პირველკურსელი სტუდენტების მხარდასაჭერად

ხატია იაშვილი 555 18 48 88

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, ის სტუდენტები, რომლებიც 70 და 100-პროცენტიანი გრანტით ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში, სასწავლო გრანტს მიიღებენ. კერძოდ, სტუდენტი, რომელსაც მოპოვებული აქვს 70 პროცენტი სასწავლო გრანტი, მიიღებს 1000 ლარს, ხოლო 100-პროცენტიან სასწავლო გრანტზე - 2000 ლარს. სტუდენტებზე ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური დახმარება ერთჯერადად გაიცემა

- გათვალისწინებული თანხით დაფინანსდებიან სტუდენტები, რომლებიც 2023 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: ბაკალავრიატის, ასევე, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მოიპოვეს 70 ან 100 პროცენტის სასწავლო გრანტი და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიღებული აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ რესურსცენტრებზე დაქვემდებარებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

დოკუმენტების მიღება დღეიდან, 15 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით იწარმოებს, - აცხადებენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში.

თურქი ეროვნების პირველი დოქტორანტი საქართველოში, რომელმაც ნაშრომი ქართულ ფილოლოგიაში დაიცვა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ჰარუნ ჩიმძე 46 წლისაა. იგი თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სივასშია დაბადებული. საქართველოში 18 წლის ასაკში ჩამოვიდა. აქვს ორმაგი მოქალაქეობა. მისი ცხოვრება, მეცნიერული ძიება, მთარგმნელობითი საქმიანობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია თავდაუზოგავ შრომას. ყველაფერი მასთან საუბარში უკეთ წარმოჩნდება

- საქართველოს მიწაზე ფეხი პირველად 1995 წელს დავდგი, გაცვლითი პროგრამების საფუძველზე, ინგლისური ენისა და ლიტერატურის შესასწავლად ჩამოვედი, თუმცა მოსამზადებელი პერიოდის გავლის შემდეგ, არჩეულ სპეციალობაზე ვერ მოვხვდი. სწავლა მაინც გავაგრძელე ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალობაზე.

- ეროვნებით თურქს ქართული ენის ათვისება არ გაგიჭირდათ?

- მეგობრებისა და პროფესორ-მასწავლებლების ენა - ქართული, შესაბამისად, ქართული კულტურა შევისწავლე. ქართველები დაჯილდოებულნი არიან მრავალი კარგი, ადამიანური თვისებით - სტუმართმოყვარეობით, გამორჩეული მეგობრობით, ჰუმანიზმით, უყვართ საკუთარი ქვეყანა და სხვისი პატივისცემა. ქართული ენის შესწავლის გზაზე პრობლემებს ისიც მიქმნიდა, რომ არ არსებობდა უცხოელებისთვის განკუთვნილი ქართული ენის სახელმძღვანელო. პირველი კურსიდანვე მიზნად დავისახე, რომ შეგვექმნა წიგნი, რომელიც თურქეთის მკვიდრთ თქვენი ენის შესწავლაში დაგვეხმარებოდა. მარტო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით არ ვკმაყოფილდებოდი, პარალელურად, ვიპოვე მასწავლებელი, რომელიც ქართული ენის შესწავლაში დამეხმარებოდა. მესამე კურსის ბოლოს ანუ საქართველოში ჩამოსვლიდან ოთხნახევარი წლის შემდეგ, ქართულ ენაზე დამოუკიდებლად ვსაუბრობდი. ფასდაუდებელია ის ამაგი, რაც ქუთაისში სწავლისას ქალბატონმა რუსუდან საღინაძემ გამიწია. იგი ახლაც ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს და ყურადღებას, თანადგომას არ მაკლებს. ჩვენ დედაშვილური დამოკიდებულება გვაქვს. ასევე, დიდია ქალბატონ ჟუჟუნა ფეიქრიშვილის დამსახურება მორფოლოგიისა და სინტაქსის, უღლების შესწავლის გზაზე. დღესაც გრძელდება ჩემი და უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის ავთანდილ ნიკოლეიშვილის ურთიერთობა. ყველას მადლობას ვუხდი. ისინი მარტო ქართული ენის, ქართული კულტურის გაცნობით არ შემოიფარგლებოდნენ. ხშირად მესაუბრებოდნენ ორი ქვეყნის, ორი ერის ურთიერთობებზე.

- თურქი ეროვნების წარმომადგენელთაგან პირველი ხართ საქართველოში, რომელმაც სადოქტორო ნაშრომი ქართულ ფილოლოგიაში დაიცავით. თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის შესახებ რას გაიხსენებთ?

- ქუთაისის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, მისაღები გამოცდები ჩავაბარე თბილისში, ენათმეცნიერების ინსტიტუტში, დოქტორანტურაში. პირველი ხელმძღვანელი იყო პროფესორი მაია მაჭავარიანი, მაგრამ დასახელებულ ინსტიტუტში, რიგი ფაქტორების გამო, დოქტორანტურაში სწავლა ვეღარ გავაგრძელე. იმ დროს ამ სახის ინსტიტუტები ხელის ერთი მოსმით გააუქმეს. იძულებული ვიყავი, საბუთები სხვაგან გადამეტანა. არჩევანი ისევ ქუთაისზე, სასურველ და საყვარელ უნივერსიტეტზე გავაკეთე. ხელმძღვანელობაც ქართული ენის მასწავლებელმა რუსუდან საღინაძემ ითავა. ჩემი საძიებო თემა იყო „ზმნისწინების სემანტიკური ნიუანსები ახალ სალიტერატურო ქართულში“, რომელიც ძალიან მაინტერესებდა, რადგან თურქულ ენაში ზმნისწინები არაა. ძალიან დაინტერესებული ვარ ქართული ენის გრამატიკით. ახლა უკვე ქართულ-თურქული გრამატიკის საკითხებს ვიკვლევ. ჩემი სტატიები ხშირად იბეჭდება სამეცნიერო ჟურნალებში. 2001 წლიდან მოყოლებული, 15-ზე მეტი სტატია მაქვს გამოქვეყნებული. დავასახელებ რამდენიმეს: „საურთიერთო მოქმედების გამოხატვა ქართულსა და თურქულში“ (2011 წ.); „ქართულ-თურქულ ანდაზათა შედარებითი ანალიზი სხვადასხვა ასპექტში“ (2012 წ.); „სახელის განსაზღვრის განსხვავებული სისტემა ქართულსა და თურქულში“ (2012 წ.); „ზმნის წარსული დრო თურქული და ქართული მასალების მიხედვით“ (2015 წ.). 2011 წელს ქალაქ რიზეში რეჯეფ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა გაიხსნა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

- მთარგმნელობითი საქმიანობა ერთ-ერთ ორენოვან ჟურნალში სულხან-საბა ორბელიანის იგავების თარგმნით დაიწყეთ. 2015 წელს, რუსუდან საღინაძესთან ერთად, ხუთწლიანი დაუღალავი შრომის შემდეგ, გამოეცით „ქართული ენა - ფონეტიკა და მორფოლოგია“, რაც თურქეთის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო. მოკლედ მოგვიყევით თქვენი მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ.

- მადლობა, რომ ასე აფასებთ ჩვენ მიერ წიგნის „ქართული ენა - ფონეტიკა და მორფოლოგია“ თარგმნას. ყველგან და ყველაფერში ქალბატონი რუსუდანის თანადგომას ვგრძნობდი. 2005 წელს ქართულიდან თურქულად ვთარგმნე „საქართველოს კულტურა“. 2011 წელს გამომცემლობა „ინტელექტმა“ შემომთავაზა მეთარგმნა ბესიკ ხარანაულის „ამბავი ბესარიონისა“. ამის შემდეგ საკმაო ენერგია შევალიე დათო ტურაშვილის „გურჯი ხათუნის“, ზვიად კვარაცხელიას „ფორმა-100“-ის, ნინო დღობელაშვილის „თავშესაფარის“ და რეზო თაბუკაშვილის „13 დღის“ თარგმნას. 2015 წელს თბილისში, მონოგრაფიის სახით, ჩემი დისერტაცია გამოვეცი. მინდა ორ ქვეყანას, ორ ერს შორის მშვიდობისა და მეგობრობის, კეთილი ურთიერთობების დესპანი ვიყო, თურქ ხალხს შევუქმნა წარმოდგენა საქართველოზე, ქართველ ხალხზე, ქართულ ენაზე, საქართველოს ისტორიაზე. ჩემს თარგმანთა შორისაა შოთა არველაძის წიგნი „გუშინ“, გიორგი სოსიაშვილის „მარტოსულთა ზამთარი“ და ჟუჟუნა ფეიქრიშვილის „ქართველოლოგიის შესავალი“. ყველა ავტორთან მეგობრული ურთიერთობები მაქვს. საზოგადოებისთვის ისიც ცნობილია, რომ შოთა არველაძე თურქეთში ფეხბურთის გუნდის მწვრთნელი იყო და ჩემს ქვეყანაში კარგი ავტორიტეტი აქვს. მასთან ნაცნობობა მაკავშირებს. თურქეთში, ტრაპიზონში შევხვდი და კარგი რეკლამა გაუკეთა „დათა თუთაშხიასაც“, საუბარში ხშირად იყენებდა ამ რომანში არსებულ სიბრძნეებს. იმ დღიდან სურვილი დამებადა, რომ თურქი მკითხველისთვის ეს წიგნი გამეცნო. ამ თარგმანზე უკვე სოციალურ ქსელში ბევრი დაიწერა. იგი მკითხველს ასეთი სათაურით წარვუდგინე: „კავკასიელი დიდებული ყაჩაღი“. წიგნი ორ ნაწილადაა გამოცემული და 900 გვერდზე მეტია.

- მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად, მეცნიერულ კვლევებსაც თარგმნით. ახლა რით ხართ დაკავებული?

- უნდა გადავიკითხო „ძველი ქართული ენის გრამატიკა“. ასევე, გადასახედია ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელ რუსუდან საღინაძის წიგნი. საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი კახა შენგელიას ავტორობით გამოცემული „საქართველოს ისტორია“. ამასთან, თურქულ ენაზე თანამედროვე ქართული მოთხრობების თარგმნასაც ვაპირებ. თანადგომას ვერ დავუკარგავ ზვიად კვარაცხელიას, კახმეგ კუდავას, კახა შენგელიას, ჭაბუა ამირეჯიბის ვაჟს, დათო ტურაშვილს, ავთანდილ ნიკოლეიშვილს.

- ვინ გეხმარებათ წიგნების გამოცემაში?

- თარგმანების უმრავლესობის გამოცემა სპონსორების გარეშე შევძელი. საქართველო და ქართველი ხალხი ძალიან მიყვარს, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობებს. ის სიკეთე და სითბო, რაც საქართველოში მივიღე, არასოდეს დამავიწყდება. ჩემი ვალია, სანამ ვიარსებებ, ყველაფერი ღირსეული საქართველოდან თურქ ხალხამდე მივიტანო. პოლიტიკური ამბიციებისგან შორს ვარ.

- აჭარის მთიანეთმა რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ?

- ჩემთვის დიდი პატივია აჭარის მთიანეთში სტუმრობა. მოვინახულე ღირსშესანიშნაობები. ვიყავი გეგელიძეებში, ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმში. მისმა რძალმა ნინო პაპუნიძე-ხალვაშმა შემომთავაზა მამამთილის რომანის „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“ თარგმნა. გავეცნობი ნაწარმოებს და პასუხს შემდეგ ვეტყვი. ახლო ურთიერთობა მაქვს ახალგაზრდა მწერლებთან, რომლებმაც ბოლო წლებში შესანიშნავი ნაწარმოებები შემოგვთავაზეს. ხშირად ვესწრები ლიტერატურულ ფესტივალებს, სხვა ღონისძიებებს. აქაურმა ადამიანებმა, მათთან ურთიერთობამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

- არ გითქვამთ, რომ თარგმნეთ იაკობ გოგებაშვილის შედევრი „იავნანამ რა ჰქმნა?“.

- ეს მოთხრობა მეორედ ვთარგმნე. პირველს სათაური იგივე დავუტოვე. ეს სათაური არ მომწონდა და გამომცემლობას შევთავაზე მისი სხვა სათაურით ჩანაცვლება - მას „იავნანას სასწაული“ დავარქვი. „დათა თუთაშხიასაც“ გამომცემლობის რეკომენდაციით შევუცვალე სათაური. ყოველთვის ვცდილობ, თარგმანს თურქებისთვის საინტერესო სათაური და ფორმა შევურჩიო, „კავკასიელი დიდებული ყაჩაღი“ ფორმატს კარგად მოერგო.

„საზღვაო ქვეყნის ლურჯი პოლიტიკა“

მე-2 გვერდიდან

მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ქეთევან ქოქრაშვილი, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ზაზა მარუაშვილი, ვარშავის უნივერსიტეტის (პოლონეთი) პროფესორი დავით ყოლბაია და ოსტრავას უნივერსიტეტის (ჩეხეთი) პროფესორი ვინცენტ კოპეჩაკი.

მეცნიერების მხარდაჭერის კუთხით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გადადგმული ნაბიჯები ხელს შეუწყობს საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი სივრცის ევროპულ სივრცესთან დაახლოებას. მნიშვნელოვანია, რომ ყველა კვლევითი მიმართულებით შეიქმნება კონსორციუმები, რომლებიც „ჰორაიზონ ევროპის“ ჩარჩო-პროგრამის ფარგლებში გააგრძელებენ ევროპულ მხარესთან თანამშრომლობას. საქართველო 2022-2023 წლებში, ევროკომისიასთან ერთად, იქნება შავი ზღვის სტრატეგიული კვლევისა და ინოვაციების დღის წესრიგის სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე ქვეყანა, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის ქვეყნებს, რეაგირება მოახდინონ შავ ზღვასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ გამოწვევებზე. სწორედ ეს შესაძლებლობა დაედო საფუძვლად ბათუმში გამართულ ფართომასშტაბიან ღონისძიებას, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციით „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე II“ გაიხსნა“, - აღნიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩმა.

სამეცნიერო კონფერენციაზე სხვადასხვა ქვეყნის 200-ზე მეტი მომხსენებელი წარსდგება და შავი ზღვის რეგიონის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფილოლოგიის, ენათმეცნიერების, ფოლკლორის, ტურიზმის, ეკოლოგიის, ტოპონიმიკის, რელიგიათმცოდნეობის, ფილოსოფიის, არქიტექტურის, სამართლისა და სხვა მიმართულებებზე ისაუბრებს.

პიკნიკის „საზღვაო ქვეყნის ლურჯი პოლიტიკა“ ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ქეთევან ქოქრაშვილმა ქალაქ ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანს საპატიო სიგელი გადასცა მეცნიერების პოპულარიზაციის მხარდაჭერისათვის, ხოლო ბსუ-ის წარმატებული მკვლევრები სხვადასხვა ნომინაციაში დააჯილდოვა.

წიგნების პრეზენტაცია – აჭარის მწერალთა სახლში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

აჭარის მწერალთა სახლში მწერალ და ჟურნალისტ ჯუმბერ სარდლიშვილის ორი წიგნი - „მსხვერპლი“ და „საბას ცრემლები“ წარადგინეს.

ჯუმბერ სარდლიშვილი 1953 წლის 20 სექტემბერს მცხეთის რაიონის სოფელ ლისში დაიბადა. საავტორო წიგნების პრეზენტაციაც საკუთარ საიუბილეო თარიღს დაამთხვია.

წლების განმავლობაში ტელევიზიაში, საქართველოს პირველ არხზე მუშაობდა. მისი სცენარებით მრავალი გადაცემა მომზადდა ლიტერატურულ, თეატრალურ და ხალხური შემოქმედების რედაქციებში. არის რამდენიმე წიგნის ავტორი, რომელთა შორისაა პოემა „მსხვერპლი“ და იგავებისა და გამონათქვამების წიგნი - „საბას ცრემლები“.

- „საბას ცრემლები“ ჯუმბერ სარდლიშვილის მე-3 წიგნია, რომელიც მცირე ტირაჟით დაიბეჭდა. იგი უჩვეულოა იმით, რომ დღეს იგავს თითქმის არავინ წერს. ეს იგავები საინტერესო და მახვილგონივრულია, ყველას ერთი და იგივე ფრაზა გასდევს - „ხალხი იცინოდა და საბა ტიროდა“, ერთი სიტყვით, სევდიანია. სიცილი, ამ შემთხვევაში, არასერიოზულობის გამომხატველია, საბას წუხილის მიზეზი კი ისაა, რომ ხალხი ზერელე, გულგრილი გახდა. ამ წიგნით სიამოვნება მივიღე. მიმაჩნია, რომ კარგი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ოდნავ უკეთესი ხდები, - გვითხრა „საბას ცრემლების“ რედაქტორმა ანდრო ბედუკაძემ.

- იგავ-არაკების ჟანრი ქართულ ლიტერატურაში, პოემასავით, მივიწყებულია, თითქმის აღარ იწერება, არადა, უამრავი მოსაყოლი ამბავია ჩვენ ირგვლივ და ბევრია სათქმელიც. ვფიქრობდი, რომ ჩემს შინაგან ემოციებს, სურვილებს თუ ცხოვრების ტკივილს ასე უფრო გამოვხატავდი, შეიძლება ითქვას, ცოტა დამცინავადაც. ეს ვიღაცისთვის სატკივარი იყო, ვიღაცისთვის - სასაცილო. ეს ორი განცდა მკაფიოდ რომ გამოჩენილიყო, ამ ფორმით გამოვხატე. როგორი გამოვიდა, ამას უკვე მკითხველი იტყვის. ძალიან ბევრი საბავშვო მოთხრობაც მაქვს დაწერილი და დიდი სურვილი მაქვს, მულტიპლიკაციური ფილმები შევქმნათ. წლების წინ დავგეგმეთ ეს კიდეც, თუმცა, მოგეხსენებათ, რამოდენა ფინანსები სჭირდება გადაღებას, მხოლოდ სურვილი არ კმარა... ჩვენთან საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდები არიან, რომლებიც სამგანზომილებიან ფორმატში, კომპიუტერულ გმირებზე შესანიშნავად მუშაობენ. მათთანაც ვიყავი შეთანხმებული, მხატვრებთანაც, ძალიან გვინდოდა დაგვეწყო, მაგრამ... დღესაც იგივე სურვილი მაქვს. ვფიქრობ, ბავშვებს ძალიან ბევრს მისცემს ჩვენი მულტფილმები, - გვითხრა ჯუმბერ სარდლიშვილმა.

„პარტიულობა საკუთარი აზრის დაფიქსირების შეზღუდვას არ გულისხმობს“

თამაზ ცინცაძე 591 67 04 14

თეიდო თავდგირიძე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია. იგი 21 წლისა აირჩიეს წარმომადგენლობით ორგანოში ენმ-ის პროპორციული სიით. ქვეყნის მასშტაბით ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატის პოზიცია მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება

- იმ შეცდომების გათვალისწინებითაც, რომელიც ჰქონდა ჩვენს პარტიას, დადებითად ვაფასებ მის როლს ქვეყნის უახლეს ისტორიაში. მართალია, ბოლომდე ობიექტური ისტორია არასდროსაა, თუმცა ვფიქრობ, მაინც დადებითად შეფასდება მომავალში ენმ-ის მოღვაწეობა. ორი სიტყვით არჩევნებზეც მინდა ვთქვა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ენმ-ის კომისიის წევრი ვიყავი ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე. აქტიურად ჩავერთე არჩევნებში და მაშინ მივხვდი პირველად, თუ რატომ იყო ბინძური ეს სფერო. საქართველოში არჩევნები სამოქალაქო ომს ჰგავს, ზიზღი, აგრესია, პრიმიტივიზმი, დემაგოგია. როგორ გინდა, აქედან რაიმე სასიკეთო გამოვიდეს? მიმაჩნია, მთავარი ამ პროცესში საარჩევნო სისტემისადმი ნდობაა, რომ დასრულდეს ობიექტური თუ არაობიექტური კამათი იმაზე, გაყალბდა თუ არა არჩევნები. მიმაჩნია, რომ არჩევნები დღეს უკეთ ტარდება,

ვიდრე 20 წლის წინ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. დღევანდელი საარჩევნო სისტემა კვლავ ტოვებს სივრცეებს მანიპულაციებისთვის და ეს, ფაქტია, შემთხვევითი არ არის.

- საკრებულოს მიმდინარე და რიგგარეშე სხდომებზე საკუთარ პოზიციას ხშირად აფიქსირებთ. ეს ფრაქციის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ხდება თუ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე?

- ალბათ, ეს კითხვა იმიტომ დამისვით, რომ შეამჩნიეთ, მკვეთრი პარტიულობით არ გამოვირჩევი. ფრაქციის თავმჯდომარესთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს - მეგობრები ვართ. რა თქმა უნდა, ისეთ გადაწყვეტილებებზე, რაც გუნდის ერთობლივ პოზიციას საჭიროებს, გუნდურად ვთანხმდებით.

- სხდომებზე წარმოდგენილ პროექტებს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მხარს არ უჭერენ. ამ ფონზე რამდენჯერმე დაფიქსირდა თქვენი მხარდაჭერა. კოლეგები ამაზე როგორ რეაგირებენ?

- მიმაჩნია, რომ ეს ნორმალურია. მე თავისუფალი ადამიანი ვარ, პარტიულობა საკუთარი აზრის დაფიქსირების შეზღუდვას არ გულისხმობს. კოლეგებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, თუ რამე არ მოგვწონს, რა თქმა უნდა, პირდაპირ ვეუბნებით ერთმანეთს.

- თანატოლების დასაცავად ხშირად პრინციპული გამოსვლები გაქვთ...

- არაერთხელ გულისტკივილით მითქვამს, რომ პოლიტიკაში ახალგაზრდების მონაწილეობის მაჩვენებელი დაბალია. მუდმივად მაქვს კომუნიკაცია მათთან. ამ სეგმენტიდან ყველაზე ცოტა დადის არჩევნებზე. შესაბამისად, დაინტერესებაც დაბალია, რაც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. მუდმივად ვცდილობ, მათი ინტერესების სათანადოდ გამომზეურებას, თუმცა ეს არ არის საკმარისი - მეტია საჭირო.

- თქვენი მშობლიური კობალთა იმ სოფელთა ჩამონათვალშია, საც თვითმმართველობის არჩევნები ოპოზიციამ მოიგო. ეს თქვენმა პიროვნულმა ფაქტორმა განაპირობა თუ...

- მცირე რაოდენობის ამომრჩევლიან უბნებში, ადგილობრივ არჩევნებზე, პიროვნებები უფრო დიდ როლს თამაშობენ, ვიდრე პარტიები. ჩემს შემთხვევაშიც. მთავარი ფაქტორი მათი ჩემდამი დამოკიდებულება იყო, თუმცა, მინდა, მომავალში ასე არ იყოს. ამომრჩეველმა, პიროვნული დამოკიდებულების გამო კი არა, ჩემი შეხედულებების და იდეების გამო უნდა დამიჭიროს მხარი.

- რამდენად ასრულებთ ამომრჩევლისთვის მიცემულ დაპირებებს?

- როდესაც საარჩევნო კამპანიას ვატარებდი, ვცდილობდი, გადაჭარბებული მოლოდინები არ შემექმნა მათთვის, მაქსიმალურად რეალისტურად დავანახე ჩემი თავიც და არსებული სურათიც. შესაბამისად, რა მოლოდინებიც გავაჩინე, მას ვასრულებ.

- პრობლემა, რომელიც თქვენი ჩართულობით მოგვარდა...

- იმის რესურსი და ბერკეტი ოპოზიციას არ აქვს, რამე პრობლემა დამოუკიდებლად გადაჭრას, თუმცა არაერთი საკითხი დავაყენე დღის წესრიგში, რომელიც მოგვარების პროცესშია. არის პრობლემებიც, რომლებსაც ხელისუფლება, სამწუხაროდ, პრობლემად არ აღიქვამს.

- თქვენი, როგორც ახალგაზრდა პოლიტიკოსის აზრით, 2024 წლის არჩევნებზე რა მხარდაჭერა ექნება ენმ-ისა და „სტრატეგია აღმაშენებლის“ წინასაარჩევნო ალიანსს?

- ჩემი მხრიდან ამაზე პოზიციის დაფიქსირება ნაადრევია - არასრული ორი წელია, რაც პოლიტიკაში ჩავერთე. ამ პერიოდის განმავლობაში, მრავალი პოზიტიური მოლოდინი გამიცრუვდა. გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ყველას ისე აღელვებდა ქვეყნის ბედი, როგორც გამოსვლებში სხაპასხუპით ჩამოარაკრაკებდნენ ხოლმე. ეს, რა თქმა უნდა, ამ „საარჩევნო ბლოკს“ არ ეხება, ზოგადად ვამბობ მთელ პოლიტიკურ სპექტრზე. რაც შეეხება ჩემს მონაწილეობას პროცესში, თუ ჩავთვლი (და ამას შემთხვევით არ ვიზამ), რომ ეს სერიოზული პროცესია და საზოგადოებისთვის ცრუ მოლოდინების შექმნას არ ისახავს მიზნად, აქტიურად ჩავერთვები, თუ არადა...

- როგორია იმ ელექტორატის პოზიცია, რომელიც გასულ არჩევნებზე მხარს გიჭერდათ?

- მუდმივი კომუნიკაცია მაქვს იმ ამომრჩეველთან, ვინც მხარი დამიჭირა. დიდწილად, იგივე განწყობაა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას არჩევნებში.

- სწავლასა და პოლიტიკურ სარბიელზე საქმიანობასთან ერთად, დაოჯახებაზეც არ გიფიქრიათ?

- „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“.

რას საქმიანობს ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრი?

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრი მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდების პიროვნულ და ინტელექტუალურ განვითარებაზეა ორიენტირებული. ეს ის სივრცეა, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ, გაიცნონ მსგავსი ინტერესის მქონე თანატოლები, ერთად დაგეგმონ და განახორციელონ ღონისძიებები და, უბრალოდ, იყვნენ აქტიურები. ცენტრის პრიორიტეტია არაფორმალური განათლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, გასართობ-შემეცნებითი და კულტურული მიმართულებების მხარდაჭერა. უფრო კონკრეტულად ცენტრის მიზნებსა და ამოცანებზე ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი ***ნატა ხინკილაძე*** *გვესაუბრება.*

- ქალბატონო ნატა, კონკრეტულად რა ღონისძიებებს ატარებთ ახალგაზრდების მხარდასაჭერად?

- ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ამოცანაა, არაფორმალური განათლების გზით უზრუნველყოს ახალგაზრდების ცოდნის დონის ამაღლება სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, განახორციელოს ისეთი პროგრამები, პროექტები, აქტივობები, რომელიც დაეხმარება მათ საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში, ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს თავისუფალი დროის სწორად დაგეგმვასა და მართვაში. ახალგაზრდობის ცენტრი, ეს არის უსაფრთხო და მზრუნველი გარემო ხელვაჩაურში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, შესაძლებლობების გამოვლენის, განვითარების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის ადგილი.

- რა არის ცენტრის პრიორიტეტი და რას ითხოვენ ახალგაზრდები?

- ცენტრის საქმიანობის მრავალ მიმართულებებს შორის პრიორიტეტად რჩება ახალგაზრდების ჯანდაცვა და კეთილდღეობა, ხარისხიანი არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა. ცენტრი ყოველწლიურად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, აწყობს საკვირაო სკოლებს სხვადასხვა პროფილის მედპერსონალის, პროფესორ-მასწავლებლების, ასევე, ფსიქოლოგის ჩართულობით. ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით. რაც შეეხება ხარისხიანი არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობას, აღსანიშნავია, რომ წელს ცენტრმა მოიცვა ყველა ის საკითხი, რაც ახალგაზრდებს აინტერესებდათ და აისახა წლიურ ღონისძიებებსა და პროექტებში. ეს არის დღის ბანაკები, საკვირაო

სკოლები, სასწავლო-შემეცნებითი ტურები, წამახალისებელი ექსკურსიები. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებების დიდ ნაწილს ვახორციელებთ სოფლებში, რაც ხელს უწყობს იქ მცხოვრები ახალგაზრდების გააქტიურებას და წახალისებას. გვაქვს სასიამოვნო სიახლე - მიმდინარეობს მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტდება, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობას და გააქტიურებას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

- რა გამოწვევების წინაშეა ცენტრი და ხელვაჩაურის ახალგაზრდობა?

- ვიდრე ერთი ახალგაზრდა მაინც მეგულება მუნიციპალიტეტში, რომელიც არ დადის ჩვენს ცენტრში და კარგავს იმ შესაძლებლობებს, რასაც ვთავაზობთ, არ აქვს მნიშვნელობა, რა მიზეზით იქნება ეს გამოწვეული - ინფორმაციის ნაკლებობით, დროის ან სურვილის უქონლობით თუ სხვა დაბრკოლებით, მივიჩნევ, რომ ეს ცენტრის გამოწვევაა. წელს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ტრანსპორტირება და ცენტრის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში ჩართვა უზრუნველყოფილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით. რაც შეეხება ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს, ამ შეკითხვაზე თავად უფრო ამომწურავად ისაუბრებენ. ჩვენ კი, რა თქმა უნდა, განვაგრძობთ მათი საჭიროებების კვლევას, რასაც ყოველწლიურად ვახორციელებთ როგორც სოფლებში გასვლით, ისე ადგილზე, ახალგაზრდობის ცენტრში.

- რამდენად ახერხებენ სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები ცენტრის საქმიანობაში ჩართვას?

- ისინი აქტიურად არიან ჩართული ცენტრის საქმიანობაში. ამ შემთხვევაში, ალბათ, გადამწყვეტ როლს თამაშობს დაინტერესება და სურვილი. ახალგაზრდობის ცენტრში ჩართულია ჩიქუნეთში, სარფში, მახინჯაურში, ახალშენში მცხოვრები ახალგაზრდების დიდი ნაწილი. ჩვენც ხელს ვუწყობთ რიგ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის მათ ტრანსპორტირებას, ასევე, ღონისძიებების დიდი ნაწილი, სწორედ, სოფლებში ტარდება. ასე მაგალითად, ინტელექტუალური მარათონები ჩატარდა ახალსოფელში, თხილნარში, კაპრეშუმში, აჭარისწყალსა და ახალშენში. ახალგაზრდული ინიციატივები დაფინანსდა და განხორციელდება კონკრეტულ სოფლებში და სხვა.

- ამ ეტაპზე, რა შეხვედრებს მასპინძლობს ცენტრი?

- სრულდება შემეცნებითი ტურების, ექსკურსიების, დღის ბანაკების ეტაპი და ვუბრუნდებით ლიტერატურული შეხვედრების, კონფერენციების, საინფორმაციო ტრენინგებისა და ლექციების ორგანიზებას. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდებს არ ექნებათ განტვირთვის შესაძლებლობა. ჩატარდება სახალისო და საინტერესო ვიქტორინები, წახალისდებიან კონფერენციებში მონაწილე ახალგაზრდები და სხვა.

- როგორც ვიცი, ახალგაზრდებს საკუთარი ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობაც აქვთ...

- დიახ. ახალგაზრდობის ცენტრი ყოველწლიურად აფინანსებს ახალგაზრდების იდეებსა და ინიციატივებს. წელს დაფინანსდა რვა პროექტი, რომელიც სექტემბრიდან ნოემბრამდე პერიოდში განხორციელდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში. მათ შორისა პროექტები „თეატრალური დასი შშმ პირთა მონაწილეობით“, „ვიზრუნოთ ოთხფეხა მეგობრებზე“, „ცნობიერება გენდერული თანასწორობის შესახებ“. ახალგაზრდული ცენტრი ყოველწლიურად ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზია, ახალგაზრდებში ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება და მათ მიერ პროექტების დამოუკიდებლად დაგეგმვა-განხორციელების უნარების გამომუშავების ხელშეწყობაა.

- თქვენი აზრით, რა არის მთავარი, ახალგაზრდებთან რეალურ შედეგს რომ მიაღწიო?

- უმთავრესია, გიყვარდეს ისინი, გიყვარდეს საქმე, რომელსაც მათთვის, მათთან ერთად აკეთებ, გულწრფელად გულშემატკივრობდე და უსმენდე მათ. ისინი ამას ყველაზე მეტად გრძნობენ. ასევე, მნიშვნელოვანია, დაეხმარო ახალგაზრდებს, თავად დაინახონ არაფორმალური განათლების შედეგი, და რაც მთავარია, ის, რაც კეთდება, უნდა იყოს მათ საჭიროებებსა და სურვილებზე მორგებული. ჩვენს ცენტრში ახალგაზრდებისთვის უნდა იყოს, და არის კიდეც, უსაფრთხო, მზრუნველი, მეგობრული გარემო.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე – ხულოში

მე-2 გვერდიდან

თორნიკე რიჟვაძე და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე რომეო მიქაუტაძე, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, დაბა ხულოში გაზიფიცირების მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ.

აჭარის რეგიონში, ამჟამად, გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს 4 მუნიციპალიტეტის 13 დასახლებულ პუნქტში. მთავრობის მიერ დამტკიცებული გაზიფიცირების 2022-2024 წლების გეგმის ფარგლებში, აჭარაში 35 დასახლებული პუნქტის გაზიფიცირებისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება, რომელიც 3 696 პოტენციურ აბონენტს მისცემს შესაძლებლობას, ჩაერთოს ბუნებრივი გაზის საერთო ქსელში.

- ხულოში მოვინახულეთ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები. განსაკუთრებით მახარებს, რომ ყველა დასახლებულ პუნქტში მიმდინარეობს როგორც საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, ისე გზებზე ასფალტ-ბეტონის დაგების სამუშაოები. ასევე, ჩვენ სოფელ ვაშლოვანში ვახორციელებთ ძალიან მნიშვნელოვან საგანმანათლებლო პროექტს, რომლის ფარგლებში გვექნება თანამედროვე საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც 400-ზე მეტი ხულოს, და არამარტო, ახალგაზრდა ამ ინფრასტრუქტურით ისარგებლებს. როგორც აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ისე ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები გააგრძელებენ ყველა დასახლებულ პუნქტში საავტომობილო გზების რეაბილიტაციას. საქართველოს მთავრობის ინიციატივით ხორციელდება სოფლების გაზიფიცირების პროექტი. რამდენიმე თვეში ხულოს მოსახლეობა ამ სიკეთით ისარგებლებს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე რომეო მიქაუტაძესა და მშენებარე კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, მოვინახულეთ გაზიფიცირების სამუშაოები. რა თქმა უნდა, ეს პროექტი ხელს შეუწყობს აქაური მოსახლეობის კეთილდღეობას და გადაარჩენს ჩვენს ტყეებს განადგურებისგან, - თქვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ.

ლაშა ტალახაძე მსოფლიოში ისევ პირველია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

მეშვიდე წელია, ჩვენი ლეგენდარული ძალოსანი მსოფლიოში პირველობას არ თმობს, ამდენივე წელია, მის შედეგს არათუ ვინმე აუმჯობესებს, ვერც იმეორებს

ამჯერადაც ასე იყო - საუდის არაბეთში გამართულ ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე, მძიმე წონაში, ჩვენმა სპორტსმენმა ატაცში - 220, აკვრაში - 253 კილოგრამი დაძლია, ორჭიდის ჯამში 473 კილოგრამი დააფიქსირა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, პლანეტის გასაგნად, მეშვიდედ ააჟღერა. ყველას, ვინც ლაშას გულშემატკივრობს, ნამდვილად შეუძლია იამაყოს, რომ ქართველებს ასეთი ძალოსანი გვყავს - ის ქართული სპორტის ისტორიაში პირველი სპორტსმენია, რომელიც ოლიმპიურ სახეობებში მსოფლიო ჩემპიონი მეშვიდედ გახდა.

ვულოცავთ ლაშა ტალახაძეს ამ ბრწყინვალე შედეგს და ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ!

P.S. სურათი გადაღებულია ბათუმში ამა წლის მარტში, როცა საქართველოს ძალოსანთა ეროვნულმა ნაკრებმა აქ რამდენიმეკვირიანი შეკრება გაიარა.

კესარია მგელაძის ევროპული ოქრო, მარიამ ცეცხლაძის - ვერცხლი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

რუმინეთის ქალაქ მაიამიში დასრულდა ევროპის ახალგაზრდული პირველობა 8-18 წლამდე მოჭადრაკეთა შორის, რომელზეც 46 ქვეყნის 926 სპორტსმენი ასპარეზობდა. საქართველოს ღირსებას 19 მოჭადრაკე იცავდა, მათ შორის, ორი აჭარის წარმომადგენელი და ორივე წარმატებით გამოვიდა

აღსანიშნავია, რომ 18-წლიანი პაუზის შემდეგ ბათუმელმა სპორტსმენმა კვლავ შეძლო ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება - კესარია მგელაძე 14 წლამდე გოგონათა შორის ოქროს მედლის მფლობელი გახდა (მწვრთნელები - ნოდარ ლორთქიფანიძე, ნუკრი მანაგაძე), მან 9-დან 7,5 ქულა დააგროვა. ეს ტიტული 2004 და 2005 წლებში საერთაშორისო დიდოსტატ სალომე მელიას 18 წლამდე გოგონათა შორის ჰქონდა მოპოვებული.

ამავე ასაკობრივ კატეგორიაში ასევე გვასახელა მარიამ ცეცხლაძემ (მწვრთნელი - დავით მაღლაშვილი), რომელმაც 9-დან 7 ქულით ვერცხლის მედალი დაისაკუთრა (ეს ტიტული 2003 წელს ამავე ასაკობრივ კატეგორიაში მირანდა მიქაძეს ჰქონდა მოპოვებული, 2008 წელს კი 8 წლამდე ჭაბუკებში, ირაკლი ახვლედიანს).

ასევე აღსანიშნავია 8 წლამდე გოგონათა შორის თბილისელი მარიამ რეხვიაშვილის მიერ მოპოვებული ბრინჯაოს მედალი (მწვრთნელი - იოსებ კვირიაშვილი).

საპრიზო ხუთეულში გავიდნენ: 12 წლამდე ჭაბუკთა შორის - გაბრიელ გაბადაძე (მე-5 ადგილი), 12 წლამდე გოგონათა შორის - ბარბარე აშოთია (მეორე-მეხუთე ადგილი, კოეფიციენტით - მეხუთე), 14 წლამდე გოგონათა შორის - ანასტასია კირთაძე (მეორე-მეხუთე ადგილი, კოეფიციენტით - მეოთხე).

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ წარგზავნილ დელეგაციას პედაგოგი იოსებ კვირიაშვილი ხელძღვანელობდა.

მაგიდის ჩოგბურთის ახალგაზრდულ მსოფლიო თასის გათამაშება - ბათუმში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლე 18-დან 24 სექტემბრის ჩათვლით, მაგიდის ჩოგბურთში 19 წლამდე სპორტსმენების მსოფლიო ახალგაზრდულ სერიას მასპინძლობს. ეს სერიოზული სპორტული ფორუმი შარშან, საქართველოში პირველად, თბილისში გაიმართა, წელს მეორედ კი ჩვენს ქალაქში ტარდება

18 სექტემბრიდან თამაშები ოფიციალურად დაიწყო. ტურნირში 18 ქვეყნის 100-ზე მეტი მონაწილე ჩაერთო. ახალგაზრდები ხუთ ასაკობრივ კატეგორიაში - 11, 13, 15, 17 და 19 წლამდე ასპარეზობენ.

როგორც საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი სარხაიანმა (მასთან ერთად საქართველოს ნაკრების მწვრთნელია ნინო ნინოშვილი) და აჭარის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ავთანდილ მენაბდემ გვითხრეს, საქართველოდან ტურნირში 30-მდე სპორტსმენი მონაწილეობს, აქედან 4 აჭარის წარმომადგენელია - მარი რიჟვაძე, მარიამ გორგაძე, დიანა საიკიანი, ცოტნე ცისკარაძე.

ღონისძიების მხარდამჭერები არიან საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაცია, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, აჭარის მთავრობა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის სპორტის დეპარტამენტი.

აჭარა ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალს მეთერთმეტედ მასპინძლობს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინიციატივით, 19-22 სექტემბერს ბათუმი ფრინველებზე დაკვირვების საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობს, რომელსაც ტრადიციულად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სტუმრობენ

19 სექტემბერს ფესტივალი ქართველი და უცხოელი ექსპერტების ლექციებით გაიხსნა. დასწრების მსურველთათვის მოეწყო სპეციალური გასვლითი ტურები ჭოროხის დელტასა და პალიასტომის ტბაზე.

ფესტივალი რეგულარულად 2012 წლიდან იმართება და სულ უფრო მეტი ადამიანი გამოხატავს მასზე დასწრების სურვილს. ტრადიციულად, პირველ ნახევარში ეწყობა გასართობ-შემეცნებითი ექსკურსიები ფრინველებზე დაკვირვებისთვის მნიშვნელოვან ტერიტორიებზე. ესენია: ჭოროხის დელტა, სოფლები ჩაისუბანი და სახალვაშო, ბათუმის ზღვისპირა პარკი, ნავსადგური, კოლხეთის ეროვნული პარკი. პლატფორმებსა და ფრინველებზე დაკვირვების ლოკაციებზე ორგანიზებული გასვლა ტრანსპორტით, ბინოკლებითა და გიდითაა უზრუნველყოფილი.

ცნობისთვის : 2008 წელს, გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ „ბათუმი რაპტორ ქოუნთი“ პირველად გაასაჯაროვა, რომ ჩვენს რეგიონში 800 ათასზე მეტი მტაცებელი ფრინველი დაფიქსირდა. აქედან მოყოლებული, ფრინველებზე დაკვირვების ასობით სპეციალისტი თუ მოყვარული სტუმრობს ჩვენს მხარეს.

ბათუმის სამიგრაციო დერეფანი ერთ-ერთი უმსხვილესია და სიდიდით მესამე ადგილს იჭერს მსოფლიოში.

ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალის ორგანიზატორია აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო, ფესტივალის შექმნის იდეა კი გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციას „ბათუმი რაპტორ ქოუნთი“ ეკუთვნის.

რა დასკვნის საშუალებას იძლევა ყარაბაღის ომი?

მე-3 გვერდიდან

დაახლოებით ორწლიანმა შეხვედრებმა შედეგი ვერ გამოიღო, შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული და, როგორც მოსალოდნელი იყო, აზერბაიჯანმა პირობა შეასრულა - ორი დღის წინ დაიწყო ანტიტერორისტული ოპერაცია მთიან ყარაბაღში. ეს კამპანიაც ბაქომ სწორად წარმართა - რუსეთი უკრაინასთან ომითაა დაკავებული და რომც მოენდომებინა, აზერბაიჯანს ვერ შეეწინააღმდეგებოდა, თანაც სომხეთი არ ჩაერთო ომში, რაც პრაქტიკულად იმას ცხადყოფდა, რომ აზერბაიჯანი ტერიტორიულ მთლიანობას აღიდგენდა. ყარაბაღის სეპარატისტული ხელისუფლება დათანხმდა ბაქოს მოთხოვნას იარაღის დაყრის თაობაზე. ორდღიანი ოპერაციის შედეგად ამ საუკუნეში მოხდა ოკუპირებული ტერიტორიის დეოკუპაცია. აზერბაიჯანი ზეიმობს გამარჯვებას, სომხეთში კი მიტინგები იმართება ხელისუფლების წინააღმდეგ. მომიტინგეები პრემიერ ფაშინიანის გადადგომას ითხოვენ, ძირითადად, პრორუსულად განწყობილი პოლიტიკოსები და მოსახლეობის ნაწილი, დემონსტრანტები სამთავრობო შენობების დაკავებას ცდილობენ. ექსპერტთა თქმით, თუ ფაშინიანი ამჯერადაც შეძლებს ძალაუფლების შენარჩუნებას, რეგიონში კიდევ ერთი ტექტონიკური ძვრა მოხდება - სომხეთი მოითხოვს რუსული ჯარის გაყვანას, რაც ავტომატურად ნიშნავს მის გაძევებას ამ ქვეყნიდან. ექსპერტები აცხადებენ იმასაც, რომ დასავლეთი, თუ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში ფაშინიანი დარჩა, სომხეთს მნიშვნელოვან პროექტებში ჩართავს, რათა სომხეთი დამოკიდებული არ იყოს რუსულ ეკონომიკაზე. ხოლო თუ ხელისუფლებაში პრორუსული ძალები მოვლენ, სომხეთი კვლავ რუსეთის მძევლად დარჩება, რაც, წესით და რიგით, ამ ქვეყნისთვის არ უნდა იყოს მისაღები - ბოლოს და ბოლოს, ყარაბაღის ომში რუსეთი არც ღიად და არც ფარულად დაეხმარა ერევანს და აზერბაიჯანსა და თურქეთთან პირისპირ დატოვა, რაც ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «აზეთი აჭარა და ადჭარია»
კოლიბრაზიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3.

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 21/09/23, 18 50 სთ.

საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმის რაფსოდია“ გაიხსნა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ჩვენი ქალაქი 21 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალს „ბათუმის რაფსოდია“ მასპინძლობს. ეს არის უპრეცედენტო ფორმატის ღონისძიება სახელწოდებით „ოპერის ოქროს ხმის აკადემიის კვირეული და გრანდიოზული მოსმენა“

ფესტივალის დამფუძნებელი ცნობილი საოპერო მომღერალი თამარ ივერი გახლავთ. შარშან ეს ფესტივალი სხვა ფორმატითა და სახელწოდებით - „ოპერის ოქროს ხმა“ წარმატებით ჩატარდა.

ფესტივალის გახსნამდე მისმა ორგანიზატორმა სტუმარ-მასპინძლებთან ერთად, მედიის წარმომადგენლებისთვის პრესკონფერენცია გამართა.

როგორც ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, პროექტის მიზანი ახალგაზრდა მუსიკოსების მხარდაჭერა და მათი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებაა. განსაკუთრებულია ფესტივალის მიდგომა ახალგაზრდა, გამორჩეულად - ქართველი მუსიკოსებისადმი, მათ შესაძლებლობა ეძლევათ, ადგილზე გაეცნონ პედაგოგიკის სხვადასხვა მეთოდს, გაიცნონ უდიდესი მუსიკოსები...

- ფესტივალი წელს განსხვავებული ფორმატით ტარდება - „ოპერის ოქროს ხმის ვოკალის აკადემიის კვირეული და გრანდიოზული მოსმენა“, ანუ გავფართოვდით და დაინტერესებაც გაიზარდა, რადგან ჩამოვიდნენ თავისი საქმის უზადო პროფესიონალები, რომლებიც იშვიათად დადიან ასეთ ფესტივალებზე. გამიმართლა, რომ ამ დონის აგენტები და მომღერლები, რომლებთანაც მეგობრობის არაერთი წელი მაკავშირებს, ბათუმში ჩამოვიდნენ, რაც სხვა ქვეყნის ახალგაზრდა მომღერლებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ და ბათუმს მოაშურეს. მოწვეული გვყავს მსოფლიოს ლეგენდარული მომღერალი რობერტო სკანდიუცი (ბანი, იტალია), ვასილინა კაზაროვა (მეცო-სოპრანო, ბულგარეთი) ბოჟიდარ ნიკოლოვი (ტენორი, ბულგარეთი), რომლებიც არა მხოლოდ ცნობილი მომღერლები, არამედ ასევე ცნობილი პედაგოგები არიან. ისინი ერთი კვირის განმავლობაში იმუშავებენ მათ მიერ შერჩეულ მომღერლებთან... ბოლოს საორკესტრო დიდი კონცერტი ჩატარდება და საქართველოში პირველად გაიმართება დამწყები ვოკალისტებისთვის ორდღიანი მასშტაბური მოსმენა (20-დან 35 წლამდე). მოსმენა საზაფხულო თეატრში 29-30 სექტემბერს გაიმართება (20-დან 35 წლამდე), დილის 10 საათიდან საღამოს 7 საათამდე. დასწრება თავისუფალია. კოლონადებთან სამი ცნობილი ტენორის გალა კონცერტი ჩატარდება (უამინდობის შემთხვევაში, საზაფხულო თეატრში). ბათუმს ეწვევა ერევნის ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრი კონსტანტინე ორბელიანის დირიჟორობით, - აღნიშნა ქალბატონმა თამარმა.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს თამარ ივერს მოწვევისთვის და აღნიშნეს, რომ ახარებთ ბათუმში ჩამოსვლა, რადგან იციან, აქ გენიალური ხმები ელოდებათ.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსის მერაბ ქიძინიძის თქმით, ეს არის ფესტივალი, რომელზეც არაჩვეულებრივი მომღერლები ჩამოდიან, მაღალი კატეგორისაა, რაც მისმა ორგანიზატორებმა ჯერ კიდევ შარშან დაამტკიცეს, ამიტომ ასეთ ფესტივალებს სახელმწიფო ყოველთვის დაუდგება გვერდით.

ახალი ფესტივალი...

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ხელოვნების ცენტრში მელიტონ კუხიანიძის სახელობის ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალი გაიმართა. ჩვენს კუთხეში საფუძველი ჩაეყარა ფართომასშტაბიან ფესტივალს, რომელიც გონიოს ციხის ტერიტორიაზე უნდა გამართულიყო, მაგრამ უამინდობის გამო, ლოკაცია შეიცვალა

ფესტივალის დაწყებამდე ხელოვნების ცენტრში მისულ მაყურებელს შეეძლო დაეთვალიერებინა ფოტოგამოფენა სახელწოდებით „ხალხური სიმღერის კორიფეები“, სადაც ხელოვანების პორტრეტები იყო წარმოდგენილი.

ფესტივალის დამაარსებელი გახლავთ აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „არსიანის“ დირექტორი გიორგი ჭანიშვილი, რომელიც მომღერლების ოჯახში დაიბადა და ხალხური სიმღერის სიყვარული ბავშვობიდან აქვს ჩანერგილი.

ბათუმში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან არაჩვეულებრივი ანსამბლები ჩამოვიდა, მათ შორის, ზუგდიდიდან, ოზურგეთიდან, ჩოხატაურიდან, ქუთაისიდან, თელავიდან, თბილისიდან, ასევე, აჭარის მუნიციპალიტეტებიდან. ბათუმიდან რამდენიმე ანსამბლი მონაწილეობდა, მათ შორის, „არსიანი“, „ბათუმი“...

როგორც გიორგი ჭანიშვილმა აღნიშნა, ფესტივალი ტრადიციული გახდება და უფრო მეტი მონაწილეც ეყოლება და მაყურებელიც. თუმცა დარბაზში ის მაყურებელი იჯდა, ვისაც გულით უყვარს ქართული სიმღერა, ჩვენი საგანძური და თითოეულ ანსამბლს მხურვალე ტაშით, სითბოთი და სიყვარულით ამხნევებდა

- აჭარაში ამ ფესტივალის დაარსება იმანაც განაპირობა, რომ ჩვენს კუთხეს დიდი ტრადიციები გააჩნია - აჭარული ფოლკლორი ქართულ ფოლკლორში გამორჩეული მარგალიტია. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, ხშირად ჩავდივარ სოფლებში, ახლოს ვეცნობი ოჯახურ ტრადიციებს. ეს ყველაფერი ფესვებიდან მოდის. ამის დაკარგვა არ შეიძლება, მას მოვლა სჭირდება და სწორედ ამ მიზანს ემსახურება სიმღერის ფესტივალის დაარსება, - გვითხრა გიორგი ჭანიშვილმა.

უპრიანია, ფესტივალი მელიტონ კუხიანიძის სახელს რომ ატარებს. გამოჩენილი დირიჟორი, ლოტბარი, მუსიკოსი, საქართველოს დამსახურებული არტისტი მელიტონ კუხიანიძე აჭარაში 1921 წელს მოიწვიეს დ. ყუბანეიშვილთან ერთად, მან პირველი ეთნოგრაფიული გუნდი დააარსა და მისი ლოტბარი იყო. 1925 წელს მას ადგილობრივმა მთავრობამ სახელმწიფო აკადემიური გუნდის სახელი, ხოლო 1961 წელს მელიტონ კუხიანიძის სახელი მიანიჭა.

საღამო-კონცერტი ნიკოლოზ მესხორაძეს მიჰყავდა.

- ფაქტობრივად, ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა ქართული სიმღერის ზეიმი მოგვიწყვეს. მადლობა მათ ამისთვის. დღეს ყველა კუთხის სიმღერა საუკეთესოდ შესრულდა, ძალიან კმაყოფილი და განცვიფრებული ვარ, - აღფრთოვანება არ დამალა სახელმწიფო კაპელის მომღერალმა ბაჩუკი რობაქიძემ.

- ბათუმმა წელს პირველად უმასპინძლა მელიტონ კუხიანიძის სახელობის ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალს. ქართული ხალხური სიმღერა, ჩვენი ფოლკლორი და ტრადიციული კულტურის დაცვა რომ ჩვენი პრიორიტეტია, ეს ფესტივალი სწორედ ამის დასტურია. მონაწილეობის მისაღებად 17 სახელოვანი ანსამბლი ჩამოვიდა ბათუმში, ვიტოვებთ იმედს, რომ ფესტივალი ტრადიციული გახდება და ახალ თაობაში ქართული ფოლკლორული სიმღერის პოპულარობას შეუწყობს ხელს, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თამარ გუდავამ.

- ისეთი ფესტივალი ჩატარდა, რომელიც ნამდვილად ეკადრება აჭარას, მელიტონ კუხიანიძის სახელს. დარწმუნებული ვარ, ფესტივალი მოიკრებს ძალებს და უფრო მეტ ერთად, ერთ ფიქრად, ერთ ოცნებად ... ეს ... ბ ... ბ ... ბ